# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 13
1934



ბათომის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები.
[redacted] მხატვარი ელენე ახვლედიანი.

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

# დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-3 საათამდე. მისამართი:

№ 13 ტფილისი გამ. „კომუნისტის" გამ-ბა 1934

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦★✦

## შინაარსი

ი. ჯავახიშვილი — ფირდოუსი.
ა. ადამია — გადარჩენილი ჯარის კაცი (ლექსი).
ს. დოლიძე — ნ. ბარათაშვილის შესახებ.
ლ. მარუაშვილი — სამეცნიერო დაწესებულება მყინვარწვერზე.
დ. ახვლედიანი — სოფლად (ლექსი).
ა. გიდაში — სამშობლო ჩემო, ჰუნგარეთო (ლექსი).
ა. სულავა — ა. გიდაშის პოეზია.
ს. ხიდისთაველი — მუშა სიმონა.
რ. კანდელაკი — ოლიმპიადა.
მეცნიერება და ტეხნიკა

✦★✦





**საცურაო აუზი ვერის ბაღში**

ვერის ბაღში გაიხსნა დიდი საცურაო აუზი. სურათზე ბაიდების შეჯიბრება

**ვერის პარკში საბანაო წყლის აუზი**

ვერის პარკის საბანაო აუზში ყოველდღე სწარმოებს სხვადასხვა გუნდების ვარჯიშობა ცურვაში. სურათზე: ინსტრუქტორი მუსახტიკოვი ასწავლის გუნდის წევრებს.

პ.-მგ. რედაქტორი: ვ. მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი, აკ. ჭყონია, ლევ. ასათიანი, ალ. სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სოფელ გუბის პირველი კოლმეურნეობის საბავშო ბაღი მოსავლის აღების დროს.**

სოფელ გუბში პირველ კოლექტივთან მოსავლის აღების პერიოდისათვის ჩამოყალიბებულ იქნა საბავშო სახლი. ბაღი კარგათ არის მოწყობილი, შეძენილია, საჭირო ხელსაწყოები და სათამაშოები. სურათზე: ბავშვების ცეკვა გუბის საბავშო ბაღში.

# ფ ი რ დ ო უ ს ი

### გარდაცვალებიდან 1000 წლის შესრულების გამო

**ქ. ჯავრიშვილი**

სპარსელმა ხუროთმოძღვარმა **არუენგიმ** მარმარილოდან გამოთალა ამ უცნაური ადამიანის სახე.

ცივ მარმარილოდან იყურება მისი გაქვავებული და თითქოს შიშ ჩაცდგარი თვალები. ფართე შუბლი გახსნილი აქვს, არც ერთი ნაოჭს არ დაუსერავს იგი. მხოლოდ ერთი ნაოჭი ჩაუყვება მაგრამ მოკუმულ ტუჩებიდან და ხუჭუჭ წვერში იმალება.

დიდებული სპარსი პოეტი **აბულ ყასიმ ფერდოუსი** ორი საუკუნის მიჯნაზე ცხოვრობდა. ისტორიას ჯერ არ დაუდგენია [illegible]-სი დაბადება-სიკვდილის თარიღები.

უმრავლესობა დაბადების წლად 323 ან 324 წელს ხიჯრისას ასახელებს ი. ე. ჩვენი წელთაღრიცხვით—935 ან 936 წელს.

ფერდოუსის ბიოგრაფია, სპარსელი მემატიანე **ნეზამი არუზი სამარყანდი**, ავტორი **„ოთხთა საუბარისა“**—საინტერესო ამბავს გვიამბობს სპარსელი პოეტის ცხოვრებიდან ფერდოუსი ეკუთვნოდა მდიდარ მიწის მფლობელთა წოდებს „დეჰკანებს“.

მას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი სოფელი. ჰყავდა ერთად ერთი ქალი და სწერდა **„შაჰ-ნამეს“**.

ამ წიგნის დამთავრების შემდეგ მას იმედი ქონდა მიეღო დიდი გასამჯელო, რაც მზითვად გამოადგებოდა მის ქალს.

ფერდოუსიმ დაამთავრა პოემა და გაემართა სულთან მაჰმუდ ღაზნეველის რეზიდენციისაკენ. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სულთან მაჰმუდ სუნიტი იყო. მან წინადადება მისცა ფერდოუსის მიეღო შიიტობა და პოემის დაწერისათვის 20.000 ვერცხლი შესთავაზა.

აღშფოთებულმა ასეთი თავხედობით ფერდოუსიმ მიაშურა აბანოს, ეს თანხა მან მეაბანოვეს დასასმელების გამყიდველს გაუყო, რისშემდეგ გაიქცა ჰაერათში. აქ იმალებოდა ლტოლვილი პოეტი, სანამ გაიგებდა, რომ სულთან მაჰმუდის გამოგზავნილმა პირებმა მოინახულეს მისი სამშობლო, ვერ ნახეს პოეტი და ხელცარიელი გაბრუნდენ უკან.

ფერდოუსი დაბრუნდა სამშობლოში, წამოიღო თავის შაჰ-ნამე და გაემართა თაბარისტანს, სადაც შეეხიზნა ხასანიდთა შთამავალ მეფეს.

აქ ფიროუსმა დასწერა სატირა მაჰმუდ ღაზნეველე, რომელიც 900 სტრიქონს შეიცავდა.

მან წაუკითხა ეს სატირა ახალ მფარველს, აგრეთვე შესთავაზა თავისი შაჰნამე—სადაც ვითომდა მოთხრობილი იყო სულთანის წინაპართა ცხოვრება. თაბარისტანელმა არ ისურვა სულთან მაჰმუდთან მეგობრული განწყობილების დარღვევა, წინადადება უარჰყო, ხოლო სატირაში—თითო სტრიქონში, მისცა 500 ვერცხლის ფული. მის შემდეგ სატირის შავიცა დაპირიც დასწვეს.

ნეზამი სწერს, რომ მხოლოდ 12 სტრიქონი დარჩა ხელუხლებელი. დროთა ვითარებამ კვლავ აღადგინა ყველა სტრიქონები—მაგრამ ეს, რასაკვირველია არ არის ფერდოუსის უკვდავი სატირა.

კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი მოგვითხრობს ნეზამი:—ინდოეთიდან დაბრუნებისას სულთანი მაჰმუდ ბრუნდებოდა ღაზანში, გზაზე მიადგა აჯანყებული ფეოდალის კოშკს. მაჰმუდმა მიუგზავნა ფეოდალს კაცი და მოსთხოვა დანებება. სანამ მოციქული დაბრუნდებოდა სულთანმა ჰკითხა ვეზირს—„ნეტავ რა პასუხი იქნება?“. ვეზირმა ლექსათ მიუგო: „თუ არა სასურველი პასუხი იქნება, საქმის გადაწყვეტ მე, ჩემი რანტი ბრძოლის ველი და?

აფრასიაბ". აფრასიაბ ერთ-ერთი გმირია— შაჰნამეს).

მაჰმუდმა იკითხა: „ვისია ეს ლექსი, რო მელიც გვმატებს გულადობას?

ვეზირმა უპასუხა: „ეს ლექსი ეკუთვნის უბედურ ფერდოუსის, რომელმაც იშრომა 25 წელიწადს, დასწერა ძვირფასი წიგნი და არაფერი არ მიუღია".

მაშინ სულთანმა გასცა ბრძანება ეჩუქე-ბინათ პოეტისათვის 60.000 ოქროს ფული.

უცნაურია ფერდოუსის სიკვდილი. მთე-ლი სიცოცხლე მან გაატარა ხიზნათ და სიკვდილის დროსაც ვერ ეღირსა მყუდრო თავშესაფარს. ქალაქის მოლამ აკრძალა პოეტის დამარხვა სასაფლაოზე, რადგან ის შიიტი იყო.

ფერდოუსი მიაბარეს მიწას საკუთარ ბაღში. სულთანის ნაჩუქარ ოქროთი და-ტვირთული ქარავანი შედიოდა ქალაქის გა-ლავანში, ხოლო მეორე კარებიდან გაჰქო-ნდათ აბულ კარიმ ფერდოუსის ცხედარი. ფერდოუსის ქალმა უარი სთქვა ფულის მიღებაზე. ამ ფულით ქალაქ შინაპურისა-საკენ მიმავალ გზაზე ქარვასლა ააგეს.

ამ ქალაქთან დაკავშირებულია სახელი მეორე დიდი სპარსელ პოეტის და მო-აზროვნის — **ომარ-ხაიამისა.**

ფირდოუსის სიკვდილის შემდეგ განვლო ათმა საუკუნემ — ათასმა წელმა ვერ წაშა-ლა დიდებულ „შაჰ-ნამეს" — ბრწყინვალე-ბა.

ცნობილია, თუ რა განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-ნამეს ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.

ჯერ კიდევ მე-12-ე საუკუნეში შემუ-შავდა პოემის ქართული რედაქცია. **„როს-ტომიან..".**

პოემა ხელმეორედ გადმოქართულებულ იქნა მე-15-16 საუკუნეში, უკვე რამდენიმე ვერსიის სახით.

ჩვენამდე მოღწეული ქართულ ტექსტები პოემისა — დათარიღებულია მე-17-ტე-18 ტე საუკუნით.

ფერდოუსის მიმბაძველობამ დიდი როლი ითამაშა სპარსულ ლიტერატურაშიც. მიმ-ბაძველთა თხუზულებებიც თავის დროზე— თარგმნილ იქნა ქართულად.

ასეთ თარგმნებს წარმოადგენს **"ფროთუ-თიანი" „საამიანი" და „ბაათმიანი"** „ხოაქის წიგნი" და სხვა.

„როსტომიანის" — და მის მიბაძვათა მთარგმნელების მთელი პლეადა იყო ქარ-თულ ლიტერატურაში: კედელაური, სერა-პიონ საბაშვილი, ხოსრო თურმანიძე, მამუკა თავაქალაშვილი, ბარძიმ ვაჩნაძე — აი ეს მთარგმნელები.

წერილობითი ვერსიების გარდა შაჰნა-მეს — სიუჟეტის პოპულარობამ შექმნა ხალხური ვერსიაც, რომელიც **ხალხური როსტომიანის** სახელითაა ცნობილი.

წელს სპარსეთში მოწვეულია ორიენტა-ლისტთა მსოფლიო კონგრესი. ამ კონგრესს დაესწრებიან საქართველოს [illegible]-ლებიც, მოხსენებებით „ფერდოუსი ქარ თულ მწერლობაში".

საიუბილეო დღეობისათვის გამოვა ელზის (ენისა, ლიტერატურისა, და ხელმძღვანელო-ბისა ისტორიის სამეცნიერო ინსტიტუტის). — მიერ მომზადებულია აკადემიური გამო-ცემა **„შაჰნამეს** ქართული თარგმანი—**პროფ. აკ. შანიძის, კორნ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ალ. ბარამიძის და იუსტინე აბულაძის** რედაქტორობით.

ქართველ მკითხველს საშუალება მიეცე-მა გაეცნოს ფერდოუსის უკვდავ პოემის ნამდვილ, დადგენილ **ტექსტს.**

ფერდოუსის სიკვდილიდან, 1.000 წლის თავს სპარსეთთან ერთად აღნიშნავს მთელი საბჭოთა კავშირი, იმიტომ, რომ მისი მნი-შვნელობა სცილდება სპარსეთის სა-ზღვრებს, და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ერთ-ერთ საუკეთესო მარგალი-ტის შემქმნელს — საყოველთაოდ ცნობილ ბუმბერაზ — პოეტთა რიგში აყენებს.

# გადარჩენილი ჯარისკაცი

## ალიო ადამია

მიმოიფანტენ, წავიდენ, თითქო
გარდაიცვალენ, როგორც ზამთარი, —
გაჰყავდათ. ხვრეტდენ მარტო და თითოს,
როგორც ხორბალის თითო მარცვალი.
მიმოიფანტენ და ეგდე მარტო
ველზე და იტყვი — კაცის ლანდი ხარ!
ჯარისკაცს გული რომ გაუფატროს
და აღრევდინოს სისხლი ჯარისკაცს, —
შესრულან ერთად ეს შარა-გზები..
წასულან შორს და ახლად ჩენილან.
მოდის ახალი დრო და მგზავრები —
გზა დარბევას ვერგადარჩენილა!
მიწაც მაღლდება კაცის გულამდე
და ბრძოლა მაშინ დგება ჯერივით,
იმ დაძახებას და იმ ყუმბარებს,
იმ შემოტევას გადარჩენილი,
თვალს გადაავლებ და შეგაჟრჟოლებს,
იმ ერთ დღის და საათის კვნესა,
როცა ხანძარმა საბალახოებს
დაარტყა ალი და ხევი ერთგან,—
მოეშვა, დასკდა, დასწვდა დაბლობებს
და ჩამოხერგა მხარე ხრულიად!
წაიღო სისხლი, მთელი ძალღონე
და გული — ქვებსაც თუ კი გული აქვთ!
წაიღო სისხლი ,სიმღერაც თითონ
(სიმღერა მუდამ საჭირო არი),
მიმოიფანტენ, წავიდენ, თითქო
გარდაიცვალენ, როგორც ზამთარი..

2.

გადარჩი ერთი შენ და არავინ
წამოგეშველა ქარბუქის გარდა.
თითონ ბრძოლების მთავარსარდალი
საკუთარ ფეხის ნაბიჯებს კლავდა!
შემოიფანტა მან ხალხი თითონ
და აუჯანყდა მას თითონ ხალხი!
შეიკრა გზები.. ადგენ სოფლები
ადგენ მაზრები და ადგენ ხანგრძლივ...
შეიკრა გზები? იარე, გასძელ,
და გამოჩნდება ახალი... თორემ
გზა არ გაეხსნათ, ისიც მრავალჯერ,
ჯავრი მოჰკლავდა ნამდვილ მეომრებს!
გასჭერ შარა-გზა და თითონ ხალხში,
სხვა რაღა შეგრჩა ოხერ მოდგმიდან!
მზეც ველარ ჩავა მთის დასავალში,
თუ თითონ მთაზე არ გადმოვიდა...
გადმოიარა, გათელა გზა და
თითონ მწვერვალზე შუქად გაეკრა!
მზე რო მიიღო მთის დასავალმა
და როცა ნისლი გადაირეკა, —
დაიგრიალა ყუმბარამ ცამდე
და მოუყვ ელი დარჩა ცურები,
რაფ ახმიანდა ბრძოლების ხმაზე
ის ცრემლით სავსე სალამურები...

3.

გადარჩი ერთი.. ვარსკვლავნი ცაში
იმალებოდენ და არ იცოდენ
რა წუთი იყო ის, რა ძვირფასი,
რომ დაგიბრუნდა ისევ სიცოცხლე.
გადარჩი ერთი და მოიგონე
ის შფოთიანი წუთი და წამი,
როცა წაიქცა შენი სიცოცხლე,
როგორც ალვისხე, როგორც ჭანდარი.
მთვარესაც აქვსო გულზე ლაქები
მის სიწმინდეზე უქმად მღერიან,
როცა მიწისკენ მიტრიალდება,
მაშინ ლაქები ჩრდილად ჩნდებიან.
ქარით აყრილი შავი ღრუბლები
ყოფილა თურმე მთვარის ნიღბები,
გადმოივლიან მთას და ხევშიაც
შემოგასწრებენ და იჩრდილები. —
ან და აყრილი ქარით ნისლები
აიშლებიან სიდან და საით!
ხევს ჩაეკვრიან. ტრიალ მინდორზე
ეფინებიან ცეცხლის ფარასავით,
გზას შეეკრებიან. ხელმარტო კაცი
როგორ გაიგნებ სოფლამდი იგზოდ!
მოვიდენ, სინჯონ, მთავარსარდლებმა
ამ ბილიკებით იმოგზაურონ
და აიტანონ:
ხალხის ეს რისხვა, ეს დაძახილი,
ეს შემოტევა დაუცხრომელი,
დაჯდენ და რიცხონ დაღვრილი სისხლი
და სისხლიანი სალამოები..
დაჯდენ და რაცხონ.., მუხლი თუ გასჭრის
გავიდენ ველზე, უთხრან მეომრებს, —
რომ დაძახება — ერთია ხალხში,
და ფრონტზე გასვლა — კიდევ მეორე!
გადარჩი ერთი... გადარჩი საფლავს
თოვლსა და ქარში, სუსხიან ღამით;
არა ხარ მკვდარი. ცოცხალი არ ხარ,
ხარ ნახევარი და კაცის ლანდი!
ვარსკვლავიც არ სჩანს ღრუბლიან ციდან.
ეხლა ღრუბლებიც ცას აუჯანყდენ...
მართალი არი — ერთხელ შობილხარ,
მაგრამ სიკვდილით—მოკვდი მრავალჯერ!
ზამთრის სუსხია — ქარი და ყინვა,
ქარია და ქარს, ქარბუქი მოსდევს!
ვინც წამოიწყო, ვინც დაიყვირა,
არ იყო შენთან, არ იყო ფრონტზე!

4.

სოფელში უთქვამთ (ვინ თქვა ვინ იცის)
ჩაგმარხა თოვლმა და დაგიჯაბნა!
მართალი არი — იყო გუშინწინ კაცი
და ეხლა, არ არი, არ ჩანს.
გუშინწინ იყო და გული მისი
გამაღლებული ცემდა და ფეთქდა. —
ვერ ვნახე იგი მე სიკვდილის წინ,
იყო გუშინწინ, არ არის ეხლა!
და გუშინ მუხაც ეზოში იდგა
არხევდა ტოტებს ფესვებმაგარი...
მოსჭრეს, წაიქცა დააპეს დასწვეს
და კერიაზე დარჩა ნაცარი!
მაგრამ სოფელში უკვე დაგნაცრეს, —
აენთე შენ და ჯერ არ დამწვარხარ,
კერის პირად თქმული არაკი
მუხას, ალვისხეს, ჭადარს წააქცევს, —
წააქცევს კაცს, ან გულს შეუმცირებს,
ჩააქრობს ცეცხლს და ჩააქრობს ლადარს,
აგანთებს, დაგწვავს. ჩაგაქრობს ისევ
და კერიაზე დატოვებს ნაცარს...
ქოხს არ აძინებს ცივი ზამთარი
და თქმულებანი უფრო გავრცელდენ:
გუშინწინ იყო კაცი, არ არის,
და არ იქნება აწი არც ერთხილ!
მორჩა, გათავდა, ნაყოფი მიწის
გააქრო მიწამ, ისიც ხელდახელ —
არ შეგაჩერებთ ნაბიჯი მისი,
თვალები აღარ შემოგხედავენ
და კაცი ველარ ადგება მკვდრეთით
ველარ გაახელს თვალს ხელმეორედ!
ერთხელვე თქვენ და კერის პირად
თქმულს, ხელმეორედ იმეორებენ...

5.

და თებერვლის სუსხიან ღამით
(ნუთუ ამ დღისთვის იყავ შობილი),
ყინვა და ქარში, თოვლსა და ქარში,
ჯანმილეული და გაშოთილი
დაადექ გზას და სოფელში მიხვალ,

სინჯე, სიცოცხლე კიდევ გაატანს —
იმ შემონახულ კერიის მიწას
და კერიაზე დარჩენილ ნაცარს!
გადმოიარე და ისიც ქარში
და სასწაული მოხდა იმ ღამით, —
ატირდა შენი პატარა ბავშვი
და გულწამღებად აკივლდა ძაღლი...
ნუ თუ ვერ მიხვდი რატომ და რისთვის,
რათ აგარიდა პატარამ თვალი?..

ვაჟკაცი იყავ მხრებაზიდული
და მის წინაში იდექი ლანდი...

6.

გრძელდება ბრძოლა და შემოტევა
და ყუმბარების გრიალს მოვისმენთ...
საზღვართან მოვა მტრების ჯავშანი
და შემოგვიტევს, როგორც მოსისხლე!
და განა ეხლაც იქნები მარტო
კაცი, თუ გულით არა ხარ ხარბი!

ერთ შემოტევას და ერთ დაძახებას
ასსამოცდაათ მილიონ ხალხის,
ვინღა გაუძლებს, ვინ შეაჩერებს,
ვინ დაუდგება ამ ხალხს პირისპირ,
იყოს ნისლი და იყოს ქარბუქი,
მთვარემ გვაფაროს, [illegible] —
გზას გაიკვლევენ, [illegible]
გადააფრენენ საზღვრებს იქით.
მაგრამ... ამ ხალხის ბრძოლის გარშემო
სულ სხვანაირი დასწერონ წიგნი.



ტფილისის ზოოლოგიურ პარკში
სურათზე: ვარდისფერი და ხუჭუჭა პელიკანები ყველაზე დიდი ფრინველები მოცურავეთა ჯიშიდან.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ

## სოლომონ დოლიძე

ცხრა თვე რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად მუშაობის შემდეგ, გადამიყვანეს განჯის დეპოში (1888 წ.) რაც არ იყო სასიამოვნო ამბავი პირადათ ჩემთვის.

განჯა „საიქიო“ მეგონა.

— კოღოები შეგჭამენ, ციება ბოლოს მოგიღებსო... მაშინებდენ.

მეტი გზა არ იყო. დავაპირე წასვლა. წასვლისას ჩამოვუარე ნაცნობ-ამხანაგებს, გამოვემშვიდობე. მივედი ზაქარია ჭიჭინაძესთანაც. ვინ არ იცნობდა იმ დროს (1887 წ.) ჩვენს ზაქარიას? მისი წიგნის მაღაზია ხომ ნამდვილი „კლუბი“ იყო ახალგაზრდობისათვის.

ამჟამადაც ზაქარიასთან ბევრ ნაცნობ-მეგობრებს შევხვდი. თითქმის ყველას ეწყინა ჩემი განჯაში გადაყვანა, ზოგმაც გამამხნევა, ზოგმაც გამაფრთხილა.

ჩვენს მასპინძელს, ზაქარიას კი გაუხარდა.

— კარგია, სოლომონ, განჯაში რომ მიდიხარ. ნუ გეშინია. იქ ქართველობა ბევრია. იქაც „სამუშაო“ საკმაოდ გამოგიჩნდება. აი, წაიღე ქართული წიგნები. გაავრცელე... მაგრამ მთავარი, ჩემო სოლომონ, ის არა უნდა დაგავალო: იქ განჯის ბაღებში დამარხულია ჩვენი „ბაირონი“ პოეტი ბარათაშვილი. ის იყო გადასახლებული. მოკვდა და იქვე დამარხული. მონახე მისი საფლავი და გვაცნობე. უნდა გადმოვიტანოთ თბილისში.

მესიამოვნა ეს დავალება, გადამავიწყდა დარდი და შიში განჯია შესახებ... დავსტოვე საყვარელი თბილისი.

განჯა არც ისე ცუდი ადგილი აღმოჩნდა. ქართველობა ბევრა იყო. მთელი „კოლონია“.

რკინის გზის მემანქანეები, კონდუქტორები, მეისრეები, სადგურის მორიგეები უმეტესობა ქართველები იყო.

დაჩაღდა მუშაობა. გაიბა კავშირი ზაქარიასთან, თუ სხვა ქართული წიგნების და გაზეთების გამავრცელებელთან. გამოჩნდა სადგურზე ერთ დუქანში პატარა სცენა. დაიწყო იქ ქართული წარმოდგენები. და ისე გავერთე ამ მუშაობით, რომ თითქმის დამავიწყდა პოეტის საფლავის ამბავი.

თბილისში ყოველ ამოსვლის დრო[ს] ზაქარია მაგონებდა თავის დავალებას, მაგრამ გადიოდენ წლები დ[ა] საფლავი ვერ აღმოვაჩინე, ვერ აღ[...]მოვაჩინე იმიტომ, რომ მე ამ საფ[...]ლავს დავეძებდი, თანახმად დავალ[ე]ბისა, ბაღ-ვენახებში. არ ვკარგავდ[ი] შემთხვევას მეკითხა შემხვედრ მ[...]ბატისა და ბაღ-ვენახის პატრონისათ[...]ვის, მაგრამ ამაოდ. საფლავი ა[რ] სჩანდა: არავინ იცოდა მისი ამბა[ვი]. პოეტის საფლავი თურმე ადვილი ს[...]პოვნი ყოფილა. ის ძველი ეკლეს[...]გალავანში იყო. მე კი ისევ ბაღ-ვ[...]ნახებში დავეძებდი. დროც არ მრჩ[...]ბოდა იმდენი, რომ მომენდომებია პ[...]ეტის საფლავის ძებნისათვის.

ერთმა უბრალო გარემოებამ მო[...]ლოდნელად გვაპოვნია პოეტის საფ[...]ლავი.

განჯის სადგურის პირდაპირ, ლ[...]ანდაგიდან ცოტა მოშორებით, ხ[...]თიოდე დიდი, ორსართულიანი სა[...]ლია აგებული. დღეს ამ სახლებ[...] ძველ სახლებს ეძახიან, იმიტომ, რო[...]

მათ შემდეგ მრავალი სახლი აშენდა. დღეს სადგური განჯა შეუერთდა ქალაქს. ის ოთხი კილომეტრი მინდორი, რომელიც აშორებდა სადგურს ქალაქიდან და სადაც გავლა დღისითაც კი საშიში იყო, დღეს მოფენილია ქარხნებით... დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, განჯა გადასხვაფერდა, გაიზარდა, აყვავდა: ის გახდა დიდ ინდუსტრიალურ ქალაქად, აზერბეიჯანის მეორე სატახტო ქალაქად. მე კი გიამბობთ ძველი განჯის შესახებ. აი ამ ძველ სახლის ერთ დიდ დაბლა ოთახში საკმაოდ დიდი კრებაა.

სხვადასხვა სასმელ-საჭმელით შემკული მაგიდას შემოსხდომიან სადგურის განჯას მემანქანე კონდუქტორ-მეკავშირე ზეინკალ-დურგლები და სტუმრად მოსულ ამხანაგის საუბარს ყურს უგდებენ.

ეს ახალგაზრდა მოსაუბრე **მიხა ცხაკაია** არის.

ის უხსნის დამსწრეთ რა მოხდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. უხსნის დამსწრეთ რა არის მესამე დასი. რა არის სოციალ-დემოკრატია, მარქსიზმი, ინტერნაციონალიზმი, პირველი მაისობა და სხვ.

ამით არსდება პირველი მუშათა ჯგუფი განჯაში (1894 წ.) ვიღას ახსოვს ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი... გაგვიტანა მიხას სიტყვებმა, „კვალმა"—მესამე დასმა, მარქსიზმმა. მიხა გვპირდება შემდეგ კვირას ისევ ჩვენთან მოსვლას... მაგრამ მას ატუსაღებენ და ჩვენ ვერ ვხდებით ერთმანეთს.....

სადგურ განჯის—მესამე დასის — წრის მუშაობა იზრდება, ღვივდება. გადის კიდევ წლები და ზაქარია ჭიჭინაძე გვისაყვედურებს თბილისიდან პოეტს საფლავის დავიწყებას.

1895 წელია. ამხანაგის ქორწილში ვარ. გავეცანი ქ. განჯის მღვდელ ივანიშვილს. ჩამოუგდე ლაპარაკი პოეტის საფლავის შესახებ. გავაგებინე რომ ამდენი წელია დავეძებ განჯის ბაღებში ბარათაშვილის საფლავს და ვერ ვიპოვე.

— ბაღ ვენახებში რა გინდათ. ბარათაშვილის საფლავს მე გიჩვენებთ. ძველი ეკლესიის გალავანშია ორივე ძმები დამარხული.

— როგორ ისინი ძმები არიან ერთად დამარხულში? ვეკითხები.

— დიახ, ორნივეს საფლავი ერთადაა. მოდით ხვალვე განახებთ ბარათაშვილის საფლავს.

მეორე დღესვე გავჩნდი მღვდელ ივანიშვილთან. ამან თავის მხრივ წამიყვანა დეკანოზ მძინარაშვილთან.

— დეკანოზი ჩემზე კარგად არის ამ საქმესთან გაცნობილი. მას პანაშვიდიც გადაუხდია ბარათაშვილის საფლავზე. ის უფრო დაწვრილებით გაგვაცნობს საქმეს.

წამოგვყვა დეკანოზი მძინარაშვილიც და წავედით ძველი ეკლესიისაკენ. იქ პირველყოვლისა ვნახეთ გიორგი ბარათაშვილის საფლავი, ზედ იდვა დიდი ლამაზი საფლავი ქვა წარწერით, რომ აქ **ასაფლავია** გიორგი ბარათაშვილი, ოფიცერი.

— პოეტი ნიკოლოზი კი ასაფლავია გიორგის მარჯვნივ—მიგვითითა მღვდელმა გიორგის საფლავის ერთ მხარეზე.

— ასე გადმომცა მიცვალებულის დამ, თორემ მე მის დასაფლავებას არ დავსწრებივარ დაუმატა დეკანოზმა. (პოეტი ბარათაშვილი დაიბადა 1816 წ. გარდაიცვალა 1845 წ. 29 წლის).

— პოეტის საფლავზე იდვა ორი მარმარილოს ქვა წარწერით. რომ არ დაკარგულიყო, ჩვენ ისინი შევინახეთ ეკლესიაში. წამოდით ვნახოთ.

ვნახეთ ის მარმარილოს ქვებიც.

ამნაირად აღმოვაჩინეთ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი.

ავწერე ეს გარემოება და გავგზავნე წერილი გაზეთ **„ივერია"**-ს რედაქციაში. წერილი დაიბეჭდა. ეს იყო ჩემი პირველი წერილი „ივერია"-ში. წერილი დაიბეჭდა, მაგრამ არავითარი გამოხმაურება, არავითარი პასუხი არსაიდან [illegible] მეორე წერილი იმავე [illegible] ცოტა უფრო მკაცრი წერილი დავწერე: „თუ პოეტის ნათესავები, თუ თბილისის საზოგადოება არ გადაასვენებს პოეტის ნეშთს, მაშინ ჩვენ, განჯის ქართველობა, ვკისრულობთ ამოვიღოთ პოეტის ძვლები და დავაჯამივე, რადგანაც პოეტის საფლასაფლავოთ ახალ სასაფლაოზე განჯის ალაგას უნდა გვიდეს ახალი ქუჩა... დ ასე.

ამ წერილმა გასჭრა. გაზეთში ატყდა განგაში და ერთ დღეს განჯას გვეწვიენ გენერლები—ბარათაშვილები და ორბელიანები.

ცოტა არ იყოს ლოდინი დასჭირდათ. სამუშაოზე ვიყავი.

გავიგე თუ არა, მივედი სადგურის პირველი კლასის ბუფეტში, წავიყვანე გენერლები განჯაში და ვნახეთ ბარათაშვილების საფლავი.

დავდევით პირობა, რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ გადმოვასვენებდით პოეტის ნეშთს.

დავიწყეთ განჯელებმა მზადება. ემზადება თბილისიც.

დავდივარ ყოველ თავისუფალ დღეს პოეტის საფლავთან. ვადევნებ თვალყურს რომ არ შეუდგენ უცბათ ქუჩის გაყვანის სამუშაოებს და არ დაგვეკარგოს ისევ საცლავი. დანიშნულ დღეს თბილისიდან ჩამოვიდნენ ნათესავები და შევუდექით მუშაობას. დეკანოზ მძინარაშვილის მითითების თანახმად ამოვთხარეთ მიწა გიორგის მარჯვნივ, მაგრამ შენი მტერი არავითარი საფლავი, არავითარი ძვლები იქ არ აღმოჩნდა.

გავთხარეთ ცოტა მარცხნივ და წავაწყდით სამხედრო „პოგონებიან" გიორგის ნეშთს. ჩამოვარდა სიჩუმე. გამოურკვეველი მდგომარეობაა.

ნიკოლოზის ნეშთი ვერ ვიპოვეთ. თბილისში დიდი მზადებაა. როგორ მოვიქცეთ.

— მივცეთ დეპეშა თბილისში, რომ ვერ ვიპოვეთ. ნუ ემზადებიან— ამბობს პოეტის ერთი ნათესავთაგანი და ცოტა არ იყოს გაჯავრებით მიყურებს—ვითომც მე ვიყო ამის მიზეზი.

— მოიცადეთ, კიდევ არის ერთი გზა. (გამიელვა უცბათ აზრმა).

როგორ არ მიაქციეთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: გვითხრებიან რომ ნიკოლოზი არის დამარხული გიორგის მარჯვენა მხარეს. მერე საითაა ის მარჯვენა მხარე. საით ჰქონდა პირსახე პოეტის დას, როცა მან დაიმახსოვრა პოეტის საფლავი. თუ



ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ალაზნის მარცვლეულობის საბჭოთა მეურნეობასთან შექმნილია ღორების საშენი, მეურნეობას ყავს იორკშირის ჯიშის 700 ღორი. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ალაზნის საბჭ. მეურნეობის ღორების ჯოგი.

ის იდგა პირით აღმოსავლეთისაკენ, მარჯვენა მხარე სწორედ ესაა, რომელიც ჩვენ ამოვთხარეთ და ვერაფერი ვიპოვეთ. ხოლო თუ იგი დასავლეთისკენ იდგა მაშინ ხომ მარჯვენა მხარე იქაა და მიუთითე გიორგის საფლავის მარცხენა მხარეს.

ყველას მოეწონა ეს რჩევა. ყველას გაუხარდა. ვიპოვეთ გასაღები.

გაჩაღდა მუშაობა, ამუშავდა ბარი თუ ნიჩაბი.

ერთი საათის მუშაობის შემდეგ გამოჩნდა კუბო. გამოჩნდა კუბოს ფიცრები. მაგრამ მოხვდა თუ არა ფიცარს ბარი—ის მაშინვე იქცა მიწად. მხოლოდ კუბოს სირმები შენახულიყო.

გამოჩნდა თვით ნეშთი. გასაკვირალი სურათი იყო. სიფრთხილით ვიღებდით ძვლებს გარდა, ყველა მიწად იქცა. ამოვიღეთ ქართული წალის ზევითა ტყავი, რომელიც შენახულიყო. ამოვიღეთ აგრეთვე შემონახული „ფორმის მუნდირის“ საყელო. ნიკოლოზი მაზრის უფროსის მოადგილეთ იყო და „ფორმას“ მუნდირს, ატარებდა. ამოვიღეთ თავი ქალა და სხვა ძვლები.

სალამომ მოგვისწრო.

ჩვეულებრივი წირვას დროც აღარ იყო. თუმცა მღვდლები ემზადებოდენ. საგანგებოთ თბილისიდან გამოიწერეს საუკეთესო ქართული წიგნები.

სალამოს 10 საათზე რკინის გზის სადგურზე მოვასვენეთ და მოვათავსეთ გვირგვინებით და ყვავილებით ვაგონში.

წავიდა თბილისისაკენ სათანადო დეპეშა.

მატარებლის წასვლამდე თავი მოვიყარეთ ჩემს ბინაზე.

წავიდა სადღეგრძელო პოეტის ნაწერების მნიშვნელობის შესახებ. ვიცოდით რომ პოეტის „დიდი“ ნათესაობა, გენერლები არ იყვნენ ამ „მოუსვენარი“ ნათესავის კმაყოფილი და არც სწყენიათ მისი განჯაში გადასახლება.

დავგმეთ პოეტის გადასახლების ფაქტი და ნათესავების გულგრილობა.

ნახევარი საათის შემდეგ მატარებელი მიგვაქროლებდა თბილისისაკენ.

ხუთიოდე ამხანაგები რკინისგზელები ვაცილებდით პოეტის ნეშთს.

დილის 10 საათზე ჩვენი მატარებელი შესრიალდა თბილისის სადგურზე. იმ დროს თბილისის სადგური დღევანდელივით დიდი როდი იყო. მაგრამ მისი მოედანი დღევანდელზე დიდი.

აი ეს პატარა სადგური, მისი დიდი მოედანი და ახლო მახლო ქუჩები, თვით დიდუბის ეკლესიამდი სავსე იყო ხალხით. აგრეთვე გაჭედილი იყო სახლების სახურავები, აივნები პატარა ბავშვებით ხეებიც კი აჭრელებულიყო.

დიადი სანახაობაა. აუწერელი სურათი.

პოეტის კუბო სადგურიდან გამოასვენეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა მწერლებმა თუ საზოგადო მოღვაწეებმა.

ახალგაზრდებმა შეკრეს ჯაჭვი მძლავრი მკლავებით და მხოლოდ ამას შემდეგ შესაძლებელი გახდა ქუჩაში კუბოს გასვენება.

დაიძრა ზღვა ხალხი [illegible] საფლაოსაკენ.

იშვიათი სანახაობა იყო.

თბილისს მანამდე ასეთი რამ არ ენახა.



ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა (ლაგოდეხის რაიონი).

კოლმეურნეობას დათესილი აქვს 68 ჰექტარი თამბაქო. თამბაქოს მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა კოლმეურნეობაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.
სურათზე: თამბაქოს კულტივაციის მომენტი.

ꝏ ★ ꝏ



ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა (ლაგოდეხის რაიონი).

კოლმეურნეობას დათესილი აქვს 68 ჰექტარი თამბაქო. სურათზე: თამბაქოს თოხნის მომენტი.

ლევან მარუაშვილი

# მყინვარის ღირსსახსოვარი მთასვლელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყინვარ-წვერის სახელთან დაკავშირებულია მოგონება გამბედავ, ენერგიულ ადამიანებისა.

იანი ბეზურთანოვი, მარიამ პრეობრაჟენსკაია გაჩა წიკლაური, სიმონ ჯაფარიძე იაგორ კაზადიკაშვილი, კოტე ფიცხელაური...

ზოგიერთი მათგანი დღესაც ცხოვრობს; ზოგი კი გაჰქრა მას შემდეგ, რაც ელვარე მეტეორიტივით გაიქროლა კავკასიონის ცაზე...

ხევში ხშირად შეხვდები მოხუც მთიელს, რომელიც ძველ წერაყინზედ დაყრდნობილი, დარბაისელი, დინჯი, მოგვითხრობს ცოცხალ სტრიქონებს წარსულის წიგნიდან.

წარსულის გახსენება მნახველებს არა ნაკლებ უყვართ, ვიდრე მონადირეებს და საერთოდ ყველას, ვისაც კი ბუნების ძალებთან ბრძოლა არა ერთხელ ჰქონია.

მაგრამ ყველა იმ ადამიანებიდან, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარ-წვერის ეპოპეიასთან, ჩვენი ეხლანდელი ამბავისათვის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზედ ახლობელია ერთი:

სიმონ ჯაფარიძე.

იგი 9 ჯერ ავიდა მყინვარ-წვერზე. მაგრამ არა მარტო ასვლების რიცხვით უნდა შევაფასოთ სიმონ ჯაფარიძე თავისი ხანმოკლე საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში,—მან შესძლო უზარმაზარი საქმის გაკეთება: მან უხელმძღვანელა საბჭოთა ალპინისტების მიერ მთასვლური ტექნიკის დაუფლებას, გაიკვლია მწვერვალისაკენ ისეთი გზა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მყინვარ-წვერზედ მშრომელ ტურისტების მასიური ასვლები. რაც შეეხება მის მონაწილეობას ჩვენი მაღალი მთების სამეცნიერო შესწავლაში, ეს კიდევ უფრო ზრდის ს. ჯაფარიძის, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწის როლს.

1929 წელს ამხანაგობისათვის თავგანწირვამ სიმონ ჯაფარიძე თეთნულდის ფერდობზე დაიღუპა.

სწორედ ამ დაუვიწყარი კატასტროფის შემდეგ საქართველოს და მოსკოვის მთასვლელთა წრეში დაიბადა მყინვარ-წვერზედ ქოხის აგების აზრი. ქოხი, რომელიც თავშესაფარს მისცემდა წვერვალზე ამავალ ტურისტებს, იქნებოდა საუკეთესო ძეგლი იმ მთასვლელისათვის, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა ალპინიზმის,—ერთერთ უდიდეს ოსტატად საბჭოთა კავშირში.

თავდაპირველად განზრახული იყო ქოხის აგება ე. წ. **„იაგორას ნიშზედ“** (3.900 მეტრი ზღვის დონიდან), სადაც წინად ღამეს ათევებდენ მწვერვალზე მიმავალი ჯგუფები. სიმაღლის და მიდგომის მხრივ ეს ადგილი სავსებით მიზანშეწონილია. მაგრამ მალე დაადასტურდა ეჭვი, რომელიც არსებობდა „იაგორას ნიში“-ს შესახებ: ესაა „ბორენა“ ე. ი. ქვის გროვა, რომელიც მოძრავ ყინულზეა დამყარებული. ცხადია, რომ ასეთ საფუძველზე აგებული სახლი შეიძლება მალე დანგრეულიყო და ამიტომ „იაგორას ნიში“-ს ვარიანტი უარყოფილი იქნა.

ადგილის მძებნელ ექსპედიციებს სათავეში ედგა ამხ. **შოთა მიქელაძე.** „იაგორას ნიში“-ს გარდა წამოყენებული იყო კიდევ ორი ვარიანტი—ერთი ბეთლემის დანგრეულ მონასტერთან (3.700 მეტრი ზღ. დონ.), ხოლო მეორე—უფრო დასავლეთით და მაღლა „ჯაფარიძის კლდეების“ თავზედ (4.200 მტ. ზღ. დონ.).

მაგრამ მთლიანად არც ეს ვარიანტები გამოდგა, ვინაიდან ეს ადგილები შორსაა სიმონ ჯაფარიძის გზიდან, რომლითაც ყველაზედ უფრო ადვილად და უხიფათოდ შეიძლება მყინვარ-წვერზედ მასიური ასვლების მოწყობა.

შ. მიქელაძეს არ დასცალდა თავისი ამოცანის ბოლომდე მიყვანა: 1932 წელს, აგვისტოს პირველ რიცხვებში მთასვლელი—ენტუზიასტი დამპალმა თოკმა იმსხვერპლა იმავე მყინვარწვერის ფერდობზედ.

მყინვარ-წვერის თოვლით შემოსილი კალთებისათვის ეს დღე უჩვეული გამოდგა...

ორწვერის მყინვარს ჯერ არ ენახა მთასვლელების ისეთი თავისებური ჯგუფი, როგორიც მას ეწვია დღეს, ნახევრად მოღრუბლული ივნისის დღეს.

ყველაზედ უფრო საკვირველი, ორწვერის ხახადაღებული ნაპრალებისათვის ის იყო, რომ 6 ადამიანს, რომლებიც ჩვეულებრივისამებრ მძივებივით ასხმულიყვნენ გრძელ ალპიურ საბელზედ, ფეხებზედ კბილ-ბასრი წრიაპების მაგივრად — ფართო და მოლიპული, მოსრიალე თხილამურები ქონდათ.

თოვლი სისინებდა თხილამურების ქვეშ. ისინი სტოვებდენ ღარებს ყინვარის გადასუდრულ ზედაპირზე.

ვატმანის ქაღალდივით გადაჭიმული ყინვარი შესახედავათ სავსებით უვნებელია. მაგრამ ჩვენ გვახსოვს მისი სახის გამომეტყველება შუა ზაფხულში. ხშირი ნაპრალები, სახიფათო ჭები წყლიანი ორმოები, ეხლა ეს ცივი ხაფანგები თოვლს ქვეშ მარხია. მთასვლელი შეიძლება მიჩქმალულ უფსკრულში ჩაიჩხოს. მაგრამ მეთხილამურეს ნაპრალების უფრო ნაკლებად ეშინია, ვინაიდან გრძელი (2 მეტრამდე) და ფართო ნორვეგული თხილამურები თხელ თოვლის ხიდებსაც არ ანგრევენ.

თხილამურების დახმარებით კარავს ვდგამთ და ჩრდილოეთ - დასავლეთის მხარეზე საიდანაც დაუდგრომელი და სუსხიანი ქარი უბერავს, ლოდებისაგან კედელს ვაგებთ, იქნებ ამით მაინც შევასუსტოთ მძაფრი ყოფნა, რომელიც ქარს შემოაქვს კარავში. პრიმუსი შიშინებს, ქვაბში ყინულის ნატეხები დნება, აქ ხომ წყალი არ მოიპოვება.

ღამე, მთასვლელის გრძელი და მოუსვენარი ღამე, მიცოცავს ქარიშხლის გნუწყვეტელი იერიშით. კარავი ზარზარებს, თითქოს იგი დიდი ფრინველი ყოფილიყოს, ფრთებს აქნევს, მაგრამ მიწაზედ მიბმული მაღლა ვერ ასულა. ჭყინავს. ნაბდებში ვეხვევით, ძილზედ ვოცნებობთ და ხვალინდელ დღეზედ ვფიქრობთ.

ხვალ.

მყინვარ-წვერის კონუსის დასავლეთით გადაგულება თოვლიანი **მაილის ზეგანი** — 4 500 მეტრის სიმაღლეზედ გადაჭიმული ვაკე, რომელსაც რამდენიმე ათეული და შესაძლებელია ასეული მეტრის სისქე ყინულის აფარია, აქედან სათავეს იღებს ხუთი დიდი ყინვარი:

გარიჟრაჟმა უკვე შემოიჭყიტა კარავში და ვცადეთ თუ არა გარეთ გასვლა, ჩვენ მივხვდით, რომ დღეს გასვლაზე ფიქრიც არ შეიძლება: ყველაფერს ნისლი ბურავდა, ქარბუქი თოვლს ატრიალებდა და ნაფეხურებს რამდენიმე წუთში შლიდა.

გამოდარების ნიშნებსაც ვერა ვხედავთ.

სანატრელი „ხვალ“ გადადებულია. მთელი დღე ამ გაყინულ კარავში უნდა ვისხდეთ, საუბრით თავი შევიქციოთ, პრიმუსზე თოვლი ვადნოთ და პაწია პორციებითა ვსვათ ხან ჩაი, ხან კი ნელთბილი წყალი. ორივე უგემურია, თოვლი აუგემურებს.

ასე ვიყავით კარავში „დატუსაღებული“ ნაშუადღევის 4 საათამდე. ოთხ საათზე ქარი ჩადგა, ნისლი გაიფანტა და მზემ თვალწინ გადაგვეშალა ფიფქი თოვლით გადათეთრებული ორწვერი, ხოლო მის იქით, თითქოს ნაფტალინ-მოყრილი კლდიანი მწვერვალები: ყურის წვერი, შინო, შავანი და ჭაუხი.

გამოიდარა, მაგრამ, თქმა არ უნდა, მაილისაკენ, წასვლა უკვე დაგვიანებულია. ამიტომც ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეთვალიერებინა ერთი ადგილი, რომელიც გუშინ შევამჩნიეთ.

სამი ამხანაგი კარავში დარჩა და ბანაკის წესრიგში მოყვანა იკისრეს. სამმა კი თხილამურები გავიკეთეთ და თოვლზე ჩავედით. მაგრამ ჩასვლისთანავე დავრწმუნდით, რომ ამ შემთხვევაში უთხილამურობა სჯობდა: ქარს მოეყინა თოვლის ზედაპირი და შეუძლებელი იყო გავლა, მოვიხსენით თხილამურები, თოვლში ჩავარჭეთ და სირბილით დავექანეთ ქვევით. 15 წუთის შემდეგ უკვე მიზანს მივაღწიეთ.

ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა ვრცელი მოედანი, რომელიც მტკიცე ვულკანურ ქანებს ეყრდნობოდა. მოედანი უზარმაზარი ლოდებით იყო მოფენილი. არც ზვავი და არც კლდე ხიფათს არ უქადდა მოედანს. ეჭვს გარეშეა, ეს ადგილი საუკეთესო ვარიანტია ქოხისათვის. ეს დასკვნა ჩვენ კიდევ უფრო განგვიმტკიცდა უკან წამოსვლისას, როდესაც უცებ წყლის ჩხრიალს მოვკარით ყური, ამოვთხარეთ ლოდნარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფარულ ანკარა ნაკადულს მივაგენით. მეტეროლოგიური სადგურისათვის წყლის სიახლოვე აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო იაგორა კაშალიკაშვილის სიტყვით ჩვენ მიერ ნახული წყარო შუა ზამთარშიც არ იყინება. ალბათ ეს ლანქერის წყალი არ არის, თორემ ოქტომბერშივე შეწყდებოდა. მუდმივი წყაროს არსებობა ზღვის დონიდან 3.800 მეტრის სიმაღლეზე საინტერესო საკითხს წარმოადგენს.

კმაყოფილნი დავბრუნდით ბანაკში.

ეს ღამეც მოუსვენრად გავატარეთ და ძალიან გაგვიხარდა, როდესაც დილამ მოკრიალებული ცა და მზის კაშკაში დაგვახვედრა. მხოლოდ თერგის ხეობაში სუფრასავით გაფენილიყვნენ ღრუბლები და ზანტად ირწეოდენ, — თითქოს ხევში ჩაწოლილ გოლიათებს ზმორება დაეწყოთ.

ისევ თოკით გადავებით. მივდივართ ყინვარზედ. „ხმაურა" კლდეს, რომლიდანაც დღე-ნიადაგ ხრიალ-გუგუნით გამოფიტული კლდის ნამსხვრევები ცვივა, შორიდან მოუარეთ. საკმარისია კაკლის ტოლა ქვა დაგეცეს თავში და.. მშვიდობით, პლანეტავ—ქვა მაღლიდან ვარდება და გზაში მისი კინეტიური ენერგია იმდენად იზრდება, რომ კენჭის დაცემა ფუთიან უროს დარტყმას უდრის.

ნისლი არ გვისვენებს და შუადღის 1 საათზედ უკვე ცერაფერსა ვხედავთ მაგრამ მაინც მივდივართ, — მიმართულება ვიცით

ნახევარი საათიც და.., ალმართი გადატყდა 4.500 მეტრი ზღვის დონიდან. მაღლა ზეგანი, თოვლიანი ვაკე. მაგრამ ნისლი შეუძლებლად ხდის პანორამების დანახვას. ჩვენს თავმოყვარეობას ხარკი გადავუხადეთ და ზეგანზედ ამოვედით, მაგრამ ორი ნაბიჯით იქით ვერაფერსა ვხედავთ. ცოტაოდენი შევიცადეთ, მაგრამ ნისლი უფრო და უფრო გამკვრივდა. ამიტომ უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ.

ივლისის პირველ რიცხვებშივე ავტომობილებით და ოსური ურმებით ყაზბეგში მოზიდეს მომავალი მეტეროლოგიური სადგურის ნაწილები.

კომისიის საბოლოო დასკვნით სადგურისათვის ამორჩეულ იქნა ზემოხსენებული ქვიანი მოედანი 3.800 მეტრის სიმაღლეზედ, როგორც ყველაზედ უფრო უხიფათო და მოხერხებული.

ივლისიდანვე დაიწყო ქოხის ნაწილების აზიდვა. — მაღლა. ბეთლემის გორამდე, ანუ 3.000 მეტრის სიმაღლეზე დიდ ძელებსა და ფიცრებს ცხენებით მიეზიდებოდენ. ჩვენ ხშირად გვაკვირვებდა გერგეტელი ქალების გამძლეობა, რომლებსაც ზურგით აჰქონდათ ფიცრები ყინვარების ბოლომდე, ხოლო უკან დაბრუნებისას მთას „კიტრს", ან ხმელ ფიჩხს წამოიღებდენ შინისათვის.

შემოდგომაზე ინჟენერ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით, 3.800 მეტრის სიმაღლეზედ წამოაქდა კონტა სახლი, რომელიც ლოდებზე ფოლადის ტროსებითაა მიმაგრებული, რომ ქარიშხალმა არ გადააბრუნოს.

შემოდგომაზე წამოიჭრა საკითხი: ვინ იცხოვრებს ზამთარში იქ — მარადიულ თოვლისა, ყინულისა და ნისლის სამყაროში.

ცხადია, რომ ვერც „პოლარული ულუფა", ვერც კარგი თბილი ტანსაცმელი და ვერც გასართობები ვერ გადააქცევენ ორწვერის მეტეო — სადგურში მუშაობას ჩვეულებრივ სამეცნიერო შრომად. მთელი კაცობრიობისაგან მოწყვეტილს, თოვლითა და ზვავებით პაწია ქოხში გამოკეტილს ადამიანებს უეჭველად მოეთხოვებათ მტკიცე ნებისყოფა, მთების ცოდნა, მთასვლური გამოცდილება და რაც მთავარია — ენტუზიაზმი, საქმისადმი სიყვარული.

ამიტომაც მოხდა რომ მეტეოსადგურის თანამშრომელთა შტატის ჩამოყალიბების პირველი ცდა დამარცხებით დასრულდა: გაგზავნილმა რადისტმა ვერ მოახერხა ტფილისთან რადიო კავშირის დამყარება, სიძნელეებს როგორც უჩვევი შეუშინდა და მუშაობას თავი მიანება.

მაგრამ საჭირო ადამიანები, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდენ. მათი გვარებია: **შარაშიძე, გვალია, კაზალიკაშვილი**

ისინი აღფრთოვანებით დათანხმდენ თოვლეთში მუშაობაზე და, უეჭვოა, მათი ღვაწლი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ნორჩი საქმისათვის.

რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში ალპიურ მეტეოსადგურს. სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი, ავიაცია, თავდაცვის საქმე, სტიქიურ უბედურებებთან (წყალდიდობა გვალვა) ბრძოლა და მთელი რიგი სხვა საჭირბოროტო საკითხები დაკავშირებულია ჰავასთან, ანუ, როგორც ამბობენ, კლიმატიურ პირობებთან. ამინდის წინასწარმეტყველობას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს მთელი ქვეყნის, ბედზე, — მით უმეტეს საქართველოსთანა ქვეყნისა, სადაც გვხდება ბუნების იშვიათი ნაირ-ნაირი სახეები, სადაც სუბტროპიკების გვერდით განკითარებულია მაღალი მთის მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

ხოლო ამინდის შექმნა, მისი ჩასახვა ხდება არა მარტო ხმელთა-შუა და შავ ზღვების თბილ ნაპირებზე, არამედ კავკასიონის მაღალ კლდოვან ზღუდესთანაც, სადაც სწყდება ქარების ბედიღბალი და იწყება ჩვენი მდინარეები.

ამავე დროს კავკასიონის ქედის ჰიდრომეტეროლოგიური პირობები ჩვენთვის ჯერჯერობით სრულიად უცნობია, ვინაიდან უკანასკნელ წლებამდის გუდაური წარმოადგენდა ყველაზედ უფრო მაღალ მეტეო-სადგურს საქართველოში (2.200 მეტრი) ხოლო ამის ზევით მთელი ალპიური ზონა წარმოადგენდა.

ორწვერის მეტეროლოგიური სადგურის ამოცანაა: საფუძველი ჩაუყაროს ჩვენი მთიანი რაიონების ჰავისა და ყინვარების შესწავლას. მასალების დაგროვება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კავკასიონის სხვა მასივებზეც აიგო ანალოგიური სადგურები, შესაძლებლად გახდის მომავალში მეტეროლოგიური პროგნოზებს ეა დღეს ხდება შვეიცარიაში და ამერიკაში, სადაც უკვე დიდი ხანია არსებობს მაღალი მთის მეტეროლოგიური სადგურები და ნამდვილი ობსერვატორიებიც როგორიცაა მაგ. მონბლანზე (4.810 მეტრი).

საჭიროა თანდათან გაუმჯობესდეს სადგურის მოქმედების პირობები და მისი შინაარსი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ქოხის კედლების მეტი გათბილება, ვინაიდან ამხ. ალ. გვალიას წერილის თანახმად დილაობით მათს ოთახში 20 გრადუსიანი ყინვა იყო და საბნები თრთვილით თეთრდებოდა.

მეორე: აუცილებელია რადიო - კავშირის გაბმა ტფილისის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან, რომ მეტეროლოგიური ცნობები სწრაფად და სისტემატიურად მოდიოდეს დანიშნულების ადგილზედ.

მესამე: დაწყებულ იქნეს სისტემატიური დაკვირვებები ორ-წვერის და მეზობლად მდებარე ყინვარებზედ, რასაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მდინარეების რეჟიმის შექმნაში წყალდიდობასთან ბრძოლისა მელიორაციის, და ჰიდრო - ენერგეტიკის საკითხებში.

ორწვერის მეტეროლოგიურ სადგურს სრული უფლება აქვს მოიხვეჭოს მშრომელი მასების თანაგრძნობა, ვინაიდან მისი სამეცნიერო მუშაობა ორგანიულად დაკავშირებულია სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურ საკითხებთან.

და ამიტომაც საბჭოთა საზოგადოებრიობა იზრუნებს 3.800 მეტრზედ მდებარე სამეცნიერო დაწესებულების განსავითარებლად.



# სოფლად

დარია ახვლედიანი

ცელქი ნიავი წყნარი ჩურჩულით
ესაუბრება გადაშლილ არეს,
გლეხი მიუძღვის ურემს ურმულით,
ალხენს ტყიან გზას და ველს მდუმარეს.
თეთრად გაშლილა ველზე, ცხვრის ფარა
მწყემსი სალამურს გრძნობით ატირებს
წელზე კიდია შავი ბათარა
და თვალს აყოლებს მზიან ნაპირებს
თვალგადუწვდენელ მომხიბლავ ველებს
ამშვენებს ტრაქტორ კომბაინები
ესალბუნება რჩეულ დამკვრელებს
კავკასიონის ამაყი მთები.
კოლმეურნენი სულ ახალ ჰანგზე
მწყობრად მღერიან შრომის სიმღერას
და ჩემს ოდესღაც სევდიან ჩანგზე
ნათელი სხივი გადაისერა
აქ დუღს სიცოცხლე ვით მჩქეფი წყარო
სითრმეს ავსებენ ქვიშები ვერცხლის
აქ ისე ბრწყინავს შრომის სამყარო
ვით ელვარება ციური ცეცხლის
ეს მზიანი დღე აქრობს ძველ წყლულებს
და სიხარულით კვლავ ვიტვირთები
ვფიქრობ ნანატრ გზას მეც ვინახულებ
და ახალ ლექსით მეც მოვირთვები
ცელქი ნიავი კვლავ წყნარ ჩურჩულით
ესაუბრება გადაშლილ არეს
გლეხი მიუძღვის ურემს ურმულით
ალხენს ტყიან გზას და ველს მდუმარეს.



პარასკევა დიმიტროვა ტფილისში
მუშები მოაცილებენ პარასკევა დიმიტროვ ას

# ანატოლ გიდაშის პოეზია

ალ. სელავა

ანატოლი გიდაში ახალგაზრდა მაგრამ უკვე საკმაოდ პოპულიარული უნგრელი რევოლუციონური პოეტია. უნგრეთის ბურჟუაზიის დამქაშების მიერ თავის სამშობლო უნგრეთიდან განდევნილი და პოლიტემიგრანტი;

ავტორი მრავალი მგზნებარე რევოლუციონური წიგნებისა („უნგრეთი ზეიმობს!“, „კოლონები ყვირიან“ და სხვა) ლექსებისა და სიმღერების. ა. გიდაშს იცნობენ არა თუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ლექსებს მღერიან მშრომელი მასები მის სამშობლოში.

ისმება კითხვა, რით დაიმსახურა ასეთი ყურადღება ა. გიდაშიმ—როგორც პოეტმა? აშკარაა თავისი რევოლუციონური შინაარსისა და პათოსის მქონე ლექსებით. მუშათა კლასის ინტერესებისა და საბრძოლო განწყობილებების ნიჭიერი გამოსახვით. ასეთი ლექსები ეჭვი არაა მოიპოვებდა რეპუტაციას და მის შემქნელს საყვარელ პოეტად გადააქცევდა.

ა. გიდაშის პოეტური მუშაობის დასაწყისი უნგრეთის რევოლუციის პერიოდია. მაგრამ, როგორც ვიცით, უნგრეთის პროლეტარული რევოლუცია დამარცხდა. უნგრეთის პროლეტარიატმა ჩაიგდო ძალაუფლება, და პროლეტარული დიქტატურა გა-



მოაცხადა, მაგრამ იგი დამარცხდა. ბურჟუაზიამ სასტიკად გაუსწორა ანგარიში მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ კომუნისტებს, სწორედ ამის შედეგია ის, რომ უნგრეთის მთელი რიგი შესანიშნავი მწერლები ემიგრანტები გახდენ.

უნგრეთის პროლეტარული რევოლუციის დამარცხების შემდეგ რევოლუციონურ პოეზიაში შესაძლებელი იყო გაბატონებულიყო დაცემულების და მწუხარების განწყობილებები, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმ პოეტების შემოქმედებაში, ვინც ღრმა რევოლუციონური რწმენით იბრძოდა საბჭოთა უნგრეთისათვის და მისი დამარცხების შემდეგაც თავს არ ჩათვლიდა დამარცხებულად და კიდევ მეტად განაგრძობდა ბრძოლას.

პოეტის ასეთ ტიპს ეკუთვნის სწორედ ა. გიდაში, ამითვე აიხსნება ის გარემოება, თუ რად მღერიან მის ლექსებს მუშები.

ა. გიდაში თავისი შემოქმედებით გამოხატავს საბჭოთა უნგრეთის დამარცხების გრძნობას, მაგრამ ამავე დროს შურისძიებასა და გულისწრომას. ეს გრძნობა მისი შემოქმედების ლეით-მოტივია.

მისი საუკეთესო პოეტური სტრიქონები—მწარე მოგონებაა იმ ბრძოლებისა, როცა ძალაუფლების ხელში ასაღებად გამოვიდენ მუშები. რამდენი სისხლი და საუკეთესო მებრძოლი შეეწირა დიქტატურისათვის ბრძოლას, კიდევ რამდენი მსხვერპლი წაიღო მის დამარცხებამ. ამ გრობას და წუხილს გამოხატავს თავის მთელ რიგ ლექსებში ა. გიდაში, მაგრამ ეს ლექსები არა ტირილის, დაცემულობის გრძნობებია, არამედ იმგვარი მოგონება და გახსენება ამ ამბებისა, რომელსაც ხელმძღვანელად შეუძლია რევოლუციონური ატალღება, ხელახალი შეტევისათვის მზად ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის დამარცხებას უნგრეთში მოყვა რეაქციის ტერორი, მუშებისა და გლეხების მდგომარეობის კიდევ მეტი გაუარესება, კიდევ უფრო მეტი შევიწროებისა და ექსპლოატაციის გაძლიერება, უმუშევრობა, შიმშილი, ა. გიდაში ამ სინამდვილის ამსახველი და მისი წინააღმდეგ მებრძოლი პოეტია. ივი ყურადღებას აქცევს ყოველ წვრილმანს, რომელსაც პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ გიდაში პუბლიცისტური პოეტის საუკეთესო წარმომადგენელია.

რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში ა. გიდაშს თითქმის ადარებენ მაიაკოვსკისთან, ზოგიერთები მას ბეზიმენსკზე მაღლაც აყენებენ.

ა. ლუნაჩარსკი თვლიდა გიდაშს უნგრეთის დიდი პოეტის ა. პეტეფის პირდაპირ მემკვიდრედ. ამას გარდა ის ხაზს უსვამდა მის შემოქმედებაში მდიდარ ტემპერამენტს და მშრომელი ხალხის მტრებისადმი შეურიგებელი ბრძოლის ჟინს.

ეს თვისებები გიდაშისათვის მართლაც დამახასიათებელია, მის შემოქმედებაში პუბლიცისტურობა იმაში გამოიხატება, რომ ის ხშირად პატარა დეტალებით კლასობრივი ბრძოლის დიდი სურათის გადაშლას ცდილობს.

„1926 წელს ქალაქ დებრეცენში ღარიბესმა გლეხებმა თავიანთი შვილები ყმებად მიყიდეს მემამულეებს“ აღნიშნავს გიდაში და სწერს ამაზე ლექსს „იძიეთ შური“. ასეთი ლექსები გიდაშს კი ძალზე ბევრი აქვს.

(გაგრძელება იხ. 12 გვ.)







### საბავშო ფიზკულტურული სპარტაკიადა

ტფილისის ლენინის სტადიონზე ჩატარდა საბავშო სპარტაკიადა. სურათზე: სპარტაკიადის მონაწილე ქალიშვილები

#

### უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვში ჩატარდა უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო სპარტაკიადა. ტფილისიდან სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად წავიდა ფიზკულტურელთა გუნდი 66 კაცის შემადგენლობით. სურათზე: სპარტაკიადის მონაწილენი ამხ. ამხ. ჟოჩიბავა, და ვაჩნაძე.

#

### შეჯიბრება ტენისში

ტფილისში „მხოფლიო სპარტაკიადის“ სახელობის მოედანზე გაიმართა სრულიად საქართველოს შეჯიბრება ტენისში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა აჭარისტანი, აფხაზეთი და სხვ. სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი ამხ. ამხ. გომერი და გულიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



19 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდენ ვლადივოსტოკიდან „ჩელუსკინის“ ექსპედიციის მონაწილენი და საბჭოთა კავშირის გმირები — მფრინავები, რომლებმაც გადაარჩინეს ჩელიუსკინელები. სურათზე (მარჯვნიდან მარცხნით): ექსპედიციის უფროსი შმიდტი, მფრინავი მოლოკოვი, „ჩელიუსკინის“ კაპიტანი, ვორონინი, მფრინავი კამანინი, ექსპედიციის უფროსის მოადგილე ბობროვი და მფრინავი ლევანევსკი.

### ჩელიუსკინელებთან შეხვედრა მოსკოვში.

19 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდენ ჩელუსკინელები და მათი გადამრჩენი მფრინავები. სურათზე: მთავრობის ტრიბუნაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გმირი მფრინავები და ჩელუსკინელები ლენინგრადში

ლენინგრადელი — ჩელუსკინელების და მფრინავების შეხვედრა ლენინგრადში, ურიცკის მოედანზე

ჩელუსკინელების ჯგუფი დაბრუნებისას. სოიუზფოტო



გაბახების შეილხო
ბატონებზე შური
იძიეთ!
დე ჩვენი
სისხლფანი ოფლი
ნუ ჩაუვლით მუქთად.
მიწიანი ხელის
ნაცვლად ხმალი კროთოდეს;

ა. გიდაში თანამედროვე უნგრეთის მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამისა და აუტანელი მდგომარეობის პოეტია, მაგრამ მან იცის, რომ კაპიტალიზმის პირობებში მუშების ბედი ყველგან ერთნაირია, ამიტომ იგი სწერს ლექსებს ჩიელებზედაც. უნგრეთიდან პარიზში გადახვეწილი მუშები, აი რას ჩივიან:

„ჩვენმა სამშობლომ
ჩვენ გაგვისროლა საზღვრების
იქეთ,
ვართ მომწყვდეული
უცხოეთის გულგრილ კედლებში
პარიზის ასფალტზე
ჩვენ გულით დაგვაქვს
დამარცხებულთა დიადი ბოლმა
ყველგან — ერთი და იგივე
აოც იქ,
აღარც აქ სიტკბო არ არის
ჟანდარმი ხიშტით
პოლისმენი შაშხანით
განა არსებობს მათ შორის
საზღვარი?
პარიზი, ბუდაპეშტი!
ყველა ქალაქი ერთმანეთს გავს
უფლება ყველგან მდიდრების
ხელშია.

გიდაშს არა აქვს ნეიტრალური, და უიდეო ლექსები, მისი ყოველი ლექსი პოლიტიკურად გამიზნულია, იგი თავისი ლექსებში ეხება საბრძოლო საკითხებს.

გიდაშის მთელი პოეზია გაჟღენთილია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რწმენით, შურისძიების უდიდესი გრძნობით. ამ მხრივ ა. გიდაში ხშირად ლირიკულად მშვენიერად გამოხატავს რევოლუციის ნიადაგზე განცდილ სოციალურ გრძნობებს.

განსაკუთრებით კარგია ამ მხრივ მისი ლექსები სამშობლოზე. გიდაშს ორი სამშობლო აქ. სისხლის მსმელი ჯალათების სამშობლო უნგრეთი და საერთაშორისო მუშათა კლასის დიადი სამშობლო საბჭოთა კავშირი. იგი მჭიდროთ შეეზარდა სოციალისტურ სამშობლოს, უყვარს და ადიდებს მას, სამაგიეროდ აძაგებს და ებრძვის თავის სამშობლო უნგრეთს, სადაც ოდესღაც საბჭოებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ისევ დამარცხდა.

იგი იგონებს იმ გმირულ დღეებს ლექსში „სამშობლო ჩემო უნგრეთო“, „ლენინ“, „ოდესღაც ჩვენშიაც იყო პროლეტარული დიქტატურა — ამბობს იგი ამ უკანასკნელ ლექსში და რაც დრო გადის მწარეთ ვიგონებთ, თუ რა დავკარგეთო. ნუ თუ შეიძლება დაგვავიწყდეს ის დრო, როცა ჩვენშიაც იყო საბჭოები, როცა ბელაკუნმა გამოიხმო ლენინი და ლენინმა რადიოთი სალამი გადასცა საბჭოთა უნგრეთს.

საბჭოთა სამშობლოსადმი გიდაშს მიძღვნილი აქვს რამოდენიმე საუკეთესო ლექსი.

სადაც გამოსჭვივის დიდი სიყვარული, ეს სიყვარული საბჭოთა პატრიოტიზმია იგი ამ მხრივ არა უბრალო მადიდებელია ჩვენი ქვეყნის, არამედ ამ ქვეყნის ინტერესებისათვის მებრძოლი. იგი სხვებზე არა ნაკლებ ამუშავებს ამ მხრივ საბჭოთა თემებს.

იგი ამ ლექსებში სოციალისტური მშენებლობის, სოციალისტური შრომის, ყოფა-ცხოვრების პატრიოტია. ეს არც შეიძლება ასე არ იყოს, რადგან საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, რომელიც ცხოვრებაში ანხორციელებს კატობრიობის უბრიწყინვალეს იდეალებს, ამ იდეალებისათვის იბრძოდა თავის სამშობლოში ა. გიდაში, ამ იდეალებისათვის, იბრძვის იგი დღესაც თავისი პოეზიით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკისა და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს პიონერბაზამ იდღესასწაულა თავისი არსებობის წლის თავი.
სურათზე: პიონერები ტერ-ტეროვი და გორსკი გემის მოდელს აკეთებენ.

# სამშობლო ჩემო, უნგრეთო!

## ანატოლ გიდაში

ჩემოსამშობლო! ჩემო უნგრეთო!
შენ სახეს ურვა რა მწარეთ მოსავს!
ჩვენ გვახრჩობს თეთრი საშინელება,
დროა ჩვენს კისერს მარყუჟი მოვხსნათ.
სამუდამოთ.

შენ მზე და ბედი იყავი ჩვენთვის,
ვარსკვლავი — წითლათ მძლეთ რომ ანათებს,
ის ამოვიდა — და კვლავ შთაინთქა.
ჩვენ გამოვედით, ბრძოლა გავმართეთ...
ამაოთ.

ვარსკვლავო, სად ხარ? გასჭერ წყვდიადი!
აღმოსავლეთიდან კვლაი იხედები
შენი ბრწყინვალე დიადი თვალით—
და ირყევიან ჩვენი ქედები
პირქუშად.

ჩემო სამშობლო! ჩემო უნგრეთო!
შენ სახეს ურვა რა მწარედ მოსავს!
ჩვენ გვახრჩობს თეთრი საშინელება,
დროა, ჩვენს კისერს მარყუჟი მოვხსნათ
სამუდამოთ.
**თარ. ქ. ლ.**

სიო ნიღისთაველი

# მუშა ნიკონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკომ*) ხარაზობას თავი მიანება...

დიდი ხნის შეყვარებული საცოლო, მოსტაცა აზნაურ კეკელიძეს და სოფლის მეურნეობას მოჰკიდა ხელი.

ნიკო ტანად მაღალი იყო, მისი გრძელი ხშირი წვერ-ულვაში, შავი თვალწარბი, დაფიქრებული თვალები ადამიანში უნებლიეთ ყურადღებას და პატივისცემის გრძნობას აღძრავდა. ტანთ ეცვა შავი ჩოხა, ზოლებიანი ახალუხი და წელზე ვერცხლის კომლებიანი ქამარი ეკრა, ფეხზე ლამაზად შეკერილი, მესტები, მაღალი პაიჭებით, თავზე ბუხრის ქუდი ან ყაბალახი ეხურა ნიკოს მეუღლე ეფროსინე ცქრიალა, ტანადი, თეთრფეროვანი ციცო-თვალწარბა, გრძელი ოქროს ფერი თმებით. პირველ ხანებში ნიკო ღარიბულად ცხოვრობდა. ჰქონდა ერთოთახიანი ოდა სახლი სასიმინდე, და მარანი, მარანს გარშემო ჰქონდა შემორგული ცხილის ხეები, ზედ გარდი-გარდმო ჭერეში ვაზით იყო დაფარული.

ჩქარა ეფროსინეს ფეხმძიმობა დაეტყო. ნიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ის ისე უფრთხილდებოდა მეუღლეს, როგორც თვალის ჩინს. უფრთხილდებოდა.

ნიკო, მახლობელ მამულში „ლორდათონეში" მუშაობდა. ეს ადგილი აღმოსავლეთ გურიის მხარეზე მდებარეობს და სახელმწიფო მიწად ითვლებოდა, რომლის ქცევაში ორ მანეთს ბაჟს იხდიდა ხაზინის სასარგებლოდ. ეს მამული, ექვსი ვერსის მანძილზე დაშორებული იყო, ნიკოს სახლიდან.

თებერვლის დარიანი დღეები იდგა. სოფლად, დაჩქარებული საყანე მიწების წმენდა, ზალდენახების გამოხვლა-მოშენება წარმოებდა. ლორთაფონში ნიკო ადესის ყურძნის ხეებს მსხლავდა, სადაც თვითეულ ხეზე, თუ კარგად მოისხამდა, ხუთი ექვსი ტვირთი ყურძენი მოიკრიფებოდა. ამ მამულში ნიკოს უკვე აეშენებინა ყავრით დახურული ფაცხა სახლი. შიგნითაც ყოველივე ოჯახურად მოეწყო: საცეცხლური, სამჭიდე კეცი, საწყლე ლოქი, მაღლით დაეწყო ლამაზი და მწკრივად ჩაწყობილი წიბლის ხის ნაჭერი. აგრეთვე შიგნით ედგა ცაცხვის საწნახელი, გარეთ პატარა მარანი გაემართა.

*) თავი მოთხრობიდან.

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, ნიკოს ის იყო ესადილნა, გასულიყო ზალის ხეზე და ვენახს მსხალავდა.

ამ დროს მოუვიდა მთხრობელი:

აბა, ჩქარა ნიკოია, სახლში წამოდი, შენს მეუღლეს მუცელი ასტკივდა, ბებია ქალსაც გაუარე და აიჩქარიდ ჩადი,—უთხრა მეზობელმა ახლო გვარის კაცმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკო სრიალ-ტრიალით წამოვიდა ეზოდან.

— ფაცხაში ცეცხლი დააპარე, დაჰკეტე, სიტყვა გადასცა მეზობელს და თვით კი, შინისკენ გამოეშურა. ყაბალახი, მონარჩევი სადილი, სანადიროთ წაღებული კაჟიანი თოფი მეზობელმა წამოიღო, ნიკომ კი მოუარა გზის პირა მდგომს, სოფელში კარგად ცნობილი დახელოვნებულ ბებია ქალს სერინოზს. სანამ ისინი სახლში მოვიდოდნენ, იქ, ახლო მახლო მეზობელ ქალებს მოეყარათ თავი შინაურულ გამოცდილებით, ძველთაგან გაგონილი ხელის შეწყობით, გამოეყვანათ ფეხმძიმე ადამიანი იმ დრომდე, სანამ ბებია მოვიდოდა, რა სერინო დაინახეს, ერთობ ყველას პირზე ღიმი მოსდგათ, ყველას გაეხარდა და ვაჟიც უტიეს. მოვიდა თუ არა, არ გასულა თუთხმეტი წუთი, ბავშვიც დაიბადა.

მშობლებმა დააჩქარეს თავიანთი ვაჟი მოენათლად და საამური ეპიზოდიც გადაეხადნა.

— ეფროსინე,—უთხრა მეუღლეს ნიკომ—ჩვენი ვაჟი უმღვდელოთ უნდა მოვნათლოთ, მღვდელს ჩემს ოჯახში არ შემოუშვებ, იცის ღვთის გადავიხდი, სახელს ამოვირჩევთ და გათავდა...

— არა, არა ნიკო, უმღვდელოდ მონათლა, მაინც ვერ წარმომიდგენია, რას იტყვიან ხომ იგი ბეჩა, უწმინდურს დაგარქმევენ, ურჯულოს, თათარს დაგვიძახებენ. ათასნაირ სახელს გვიწოდებენ და თანაც ამ შეურაცხყოფას ისეთ ვერ დავმალავთ, რომ მთავრობამ არ გაგვიგოს.

— შენ მაგისი ნუ გედარდება, ეგ ყველაფერი ისე მოვახვთინო, შენც გაგეხარდეს...

— ნიკო ამ გვარი საქმის მეშინია, ამასთან მოუნათლავი შვილი, არსად არ იქნება,—ცნობილი, სკოლაში არ მიიღებენ და სხვა ათასი დაბრკოლებები მოსდევს...

— მართალია ჩემო მეუღლე, თქვენი ოჯახი განათლებული წოდების ოჯახია, მღვდლის და მღვდელი მსახურებას დიდ პატივს სცემენ, თვით შენი ხუთი ძმანები, ეკლესიის გალობას შეჩვეულნია — ადიდებენ მას, მაგრამ მე, ჩემი აზრი მაქვს და იმას უნდა ვემსახურო...

ნიკომ კეთილები თუ მეზობლები მოიპატიჟა. თვით კი მახლობელ ბაზარში წავიდა იმ დღისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგის შესაძენად. მზარეულობა კი ახლოს მეზობლებს კოსტანტინეს დაავალა. კოსტანტინემ შეუდგა სადილის მომზადებას. ხარჩო, ღომი, საცივი, ინდაური, შემწვარი გოჭი, მშრალათ მოხარშული ბეჭი ცხარე საწებელით და სასმელად ჩხავერის ღვინო უხვად მოიპოვებოდა. სტუმრებმა თავი მოიყარეს, გაიმართა ლხინი მეტად საამო და სანეტარო. ნიკომ ამ ლხინის თამადობა მეზობელ ფილიპეს დაავალა, დიდი ლხინი გადაიხადეს სიხის შეძენის გამო. (სიხას ეძახოდენ თავიანთ ვაჟს მშობლები). მრავალი სადღეგრძელოები გამოითქვა ღარიბებისა დაჩაგრულების მიმართ... აგრეთვე გაიმართა მუსიკა, დაირა, ჩონგური, რომელსაც მოჰყვა ცეკვა თამაში. მართას ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა პასუხი: ყველა სასიამოთ რაცხთა ამ ლხინს. ზედრი დაითრო და იქვე დაიძინა, ზოგნიც წავიდნენ, მაგრამ თავიანთ სახლამდინ არც ერთს მიუღწევია— მახლობელ მეზობლებში მოისვენეს.

2.

ორი კვირის შემდეგ, ნიკოს მეუღლემ ბავშის ავადმყოფობა მოიგონა. ქმრის სახლში არ ყოფნის დროს, მოიწვია მღვდელი და დიაკონი, მალულად გააგებინა კესას და სამოველს და სახელდახელოდ მონათლა ბავში, მშობლები თავიანთ სახელს სიხოს ეძახდენ, მღვდელმა კი სიმონა უწოდა. ნათლიებმა მღვდელს ორი მანეთი—დიაკონს სამი აბაზი აჩუქეს. დიაკონმა როგორც მღვდლისთვის, ისე თავისთვის რაც მაგიდაზე მოიპოვებოდა სხვადასხვა სურსათ სანოვაგე ხურჯინში ჩაალაგა და წაიღო. ვაჟის მონათვლის, ამბავი მეუღლემ განუცხადა ნიკოს 12 დღის შემდეგ...

3.

სიმონს ბავშობიდანვე ემჩნეოდა მორცხვობა და მოკრძალება. აგრეთვე ჩვეულებათ გადაჰქცეოდა საჭმელის დაწუნება და ჭირიანობა, მაგალითად: ამოიჩემებდა რაიმეს, თუ მას არ გააკეთებენ, სხვა შეჭამანდს არ შესჭამდა, გაიბუტებოდა, მოჰყრიდა ცხვირპირს, აგროვებდა ბოღმას. მამა მოფერებით არიგებდა, ესიყვარულებოდა შვილს. დედა კი, ძალიან მკაცრი იყო ამნაირ შემთხვევებზე. მასთან სიმონი ვერას ბედავდა, ამოჩემებას ან დაწუნებას.

დედა გაცხარებული ეტყოდა:

— შენ არ იფიქრო ერთი მყავხარ და ამიტომ მოგერიდო, თუ იქნები ადამიანი იყავი, თუ არა სულ არ იყავი უმჯობესია.

ხშირად იყო შემთხვევა, წაატანდა ყურში ხელს, გაიყვანდა გარეთ და მუქარით ეტყოდა:

— ასეთები არ გამაგონო, არ იქნეს განმეორებული, თვარა სახლში არ შემოგიშვებ.

პატარა სიმონს, სხვა არა დარჩენორა, გარდა წყევლა-კრულვით მოხსენებისა. დედა უყვარს, მაგრამ ასე სასტიკად რომ ექცევა, ამაში არ ეშადლიერება, აღელვებული გამოვიდოდა გარეთ და ამოეფარებოდა სახლს...

4

შვიდი წელი შეუსრულდა სიმონს, მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— აი მოვესწრო შვილი, სკოლაში აღვზრდით, ვასწავლით, გამოგვადგება ჩვენც და ჩვენს ქვეყანას.

— ბეჩა, ეკითხება ნიკო მეუღლეს, — რა მოხელეთ აღვზრდით ჩვენ ვაჟს.

— მღვდლობას რა სჯობია კაცო.

— მღვდელი, ოი, ოი, დასწყევლოს და შეაჩვენოს [illegible] ხსენება. მღვდელი და [illegible] მსურს სწორედ..,

აბა კაცო ჩინიანი გამოვიყვანოთ, რაიმე ჩინიანი.

— ჩინებიანი! გიდევანე ქლეხტივით პრისტავის ჩინით მხრებ დამშვენებული, შორს, შორს ჩემგან ამგვარი ფიქრები. ჩემი სიმონი აუცილებლად დოხტური უნდა გამოვიდეს. დავითიანცი ხომ იცი, ბეჩა, ოზურგეთში, როგორ ნაქებია და სახელ განთქმული. აი ისეთი გამოვიდეს, სხვა მოხელე ჰკუაში არც ერთი მიჯდანა.

— კარგი აბა მეც გეთანხმები, იყოს დოხტური.

ამ რიგად არჩევანში შეუთანხმდა მეუღლე ნიკოს.

ექვსი წლის სიმონას დედამ, ჯერ სახლში დააწყებინა ანბანის შესწავლა. სკოლაში შეყვანის დრომ მოაწია. ახალი ტილოს ბლუზა შარვალი შეუკერა, მამამ ლიკური წუღა მოუტანა, შალის ხაზმარი ტანსაცმელისაგან ჩაბალახი გამოუკერეს. ამ რიგად გამოწყობილი წაიყვანა მამამ ის სასწავლებელში.

სასწავლებლის ეზო გაჭედილი იყო. მშობლები, ბავშები. იწყეს გამოძახება, სახელის, გვარის, წოდების, ჩამოკითხეს, ეკითხებოდნენ: მშობლებს ჰყოლია თუ არა სკოლაში შვილი, ვისაც არ ყოლია იმას პირველ რიგში აძლევდენ ალაგს. ამიტომ ნიკოს შვილი ერთხმად იქნა მიღებული სკოლაში.

მხიარული დაბრუნდენ მამა-შვილი სკოლიდან. დედამ კარგი მომზადებული სადილი დაახვედრა მათ. ახალი შემწვარი წიწილი ტყემლის წვენში ჩაწყობილი, პარკის ლობიო, თავის მწვანილებით და ახალი მაჭარი ჩაფში ჩაყენებული...

ზემოხსენებული სკოლის ქვედა სართულში იყო ახლად მიღებულები და მეხუთე განყოფილება, ზედა სართულში კი მეორე და მესამე წლის მოწაფეები. ქვედა სართულში მასწავლებლობდა ჯ.-ში კაცი მეტად ბრაზიანი და ძარღვებ აშლილი, მისი გალაზვის შიშით და სასტიკი მოპყრობით ყველა მოწაფეებს აფრთხობდა. ყოველ წუთში მისგან მოელოდა მოწაფე ან სახაზავით ცემას, ან ყურების სრესვას, ან თმის აგლეჯას, მეხუთე ჯგუფის მოწაფენი ამ სისასტიკეს არ უთმენდენ და მოსდიოდათ ხშირი უკმაყოფილება. ზედა სართულში ასწავლიდა ე. შარაშიძე, რომელსაც ყველაზე უფრო ეხერხებოდა სიმღერა და მხიარული მოქცევა.

...



ტფილისის ზოოპარკი

მახრჩობელა გველის (პითონის) წიწილი, დაბადებულია ზოოპარკში.

ფოტო ბუღეუშტსკის.

ი. [illegible]

# ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყეინობა

ეს იყო არაჩვეულებრივი საღამო.

ქალაქი უკვე გაეხვია გამჭვირვალე ბინდის ქსოვილში, როცა უცებ ქუჩები აინთენ მზის სპექტრის ყველა ფერებით.

ქუჩები ახმაურდენ, თითქო ნაკადეცათ გაზაფხულის წვიმის წვეთები.

ყეენობა დაიწყო.

პირველი, რამაც გაახარა უჩვევი თვალი — ფერადოვნება.

არა — თეატრალური ბრწყინვალება, არა საუცხოვო მხატვრული გამოგონება.

არა, თითქო ა.-კავკასია ადგა, დაბერტყა მამა-პაპური სიპლილის სკივრებიდან და წამოვიდა ამ საღამოს ქუჩებზე ჩაცმული თავის უძველეს ნაციონალურ ტანისამოსში.

ვერცხლი შავი ვარაყით, ფარჩკრთალ ხევსურების ჯავშანი. ჩოხების მკაცრი სიშავე, მოულოდნელი პრიალი ალისფერი ჩოხის პირისა. თეთრი ხალი ყაბალახისა. ზოლიანი შალვარი, ნაზი ფერკრმთალი შალები, ცხენების თეთრი საოფლე.

ყველაფერი ეს მიდიოდა, იძროდა, ხმაურობდა, მღეროდა.

არაჩვეულებრივი ყეენობა იყო.

ის მიდიოდა ოპერის შენობაში, თან მიიყოლებდა აუარებელ ხალხს. დადგა ამ ადამიანთა საგუბარის შუაში მიდიოდენ ოლიმპიადის მწკრივები და თანდათან იკარგებოდენ სახელმწიფო თეატრის გაშლილ კარებში.

ხალხური ხელოვნება მიდიოდა თეატრში და თეატრი ხვდებოდა მას, როგორც პატივსაცემ სტუმარს რომელსაც დიდი ხანია ელოდა.

## თეატრში

თეატრი ღელავს, ღელავს მთელი თავის იარუსებით. გასავლები, კიბეები სავსეა ხალხით. სავსეა სცენაც.

ხალხშია ძმური რესპუბლიკების წარმომადგენლები, უცხოელთა ელჩები, ინტურისტები.

გაისმა ზარი. სიჩუმე.

ოლიმპიადა გახსნა ამხ. **ფილიპე მახარაძემ.**

მოკლე სიტყვაში ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე აღნიშნავს იმ სიხარულს და აღტაცებას, რომლითაც შეხვდა დიდა ქალაქის მშრომელი მოსახლეობა ჩვენი მრავალეროვან მხარის პირველ ოლიმპიადას, ყველა რესპუბლიკების ხალხთა შემოქმედების ძმურ ზეიმს.

ნაციონალურმა ოლიმპიადამ, — ამბობდა ამხ. მახარაძე — უნდა გამოხატოს ის ძირითადი ძვრა, რომელიც მოხდა საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიაში. ვეღარ იცნობთ სოფელს. გამოიცვალა მისი სახე, შეიცვალა სიმღერაც, მუსიკაც და შემოქმედებაც.

ძველი სიმღერის — კვნესის მაგიერ მოვიდა ახალი წკრიალა, ძლევამოსილი სიმღერა, გაქრა სოფლის ძველი ტიპები. მამასახლისი, პრისტავი, მღვდელი, მშრომელ ხალხთა შორის წარმოიშვა ახალი ადამიანები, კოლმეურნეობების თავმჯდომარე, ბრიგადირი, პოლიტგანყოფილების მუშაკი, და ეს ადამიანები შევიდენ ხალხის ხელოვნებაში, როგორც გმირები ლექს - სიმღერებისა.

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ გახრწნას ხალხურ ხელოვნებისას, და გვესმის პესიმისტური ჰანგები, იმ დროს როცა იქ, ხალხური შემოქმედება თავის უძველეს ფორმით ეთნოგრაფიულ მუზეუმების ქონებათ გახდა, გადავიდა ერთხელ მეცნიერების ხელში, ჩვენთან იგი გამოდის ქუჩაში და ვხედავთ მას ოლიმპიადის სახით. ის გაამდიდრებს ყველა ხალხის ხელოვნებას თავისი მხნე ჰარმონიით, გადასცემს მას წინეთ დაჩაგრულ მილიონების შემოქმედების სიხარულს.

სიტყვა მოხსენებისათვის აიღო ოლიმპიადის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა ამხ. ახმეტელმა. მან მოახსენა სიჩუმით მოცულ დარბაზს მასური მოქმედების მონაწილეთა რიცხვი და შემადგენლობა.

ესენი მოსულან ჩვენი ქვეყნის კუთხეებიდან, არა მარტო საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აჭარისტანის და აფხაზეთისა, არამედ კარაბახიდანაც, ხევსურეთიდან, სვანეთიდან, სამხრეთ - ოსეთიდან, გერმანელთა ახალშენებიდან, ბერძენების და ებრაელების კოლმეურნეობიდან და სხვ...

მარტო ამ საღამოს გამოდის ნახევარი მონაწილეებისა. წითელარმიელთა ანსაბლი, მუშათა ორკესტრი, თვითმოქმედების წრეები, სამებიანი ტრიო, მომღერალი სოლისტები...

დარბაზი ოვაციით აცილებს ამხ. ამხ. მახარაძის და ახმეტელის გამოსვლას. უმაღლეს წერტილს აღწევს ხმაურობა. მერმე ისევ სრული სიჩუმე.

ვეებერთელა იუპიტერები აფრქვევენ სინათლის სვეტებს, ოპერატორებმა დაიწყეს გადაღება. ორკესტრმა დაიწყო პირველი ტაქტი საზეიმო ინტერნაციონალისა. ყველა დგება.



**ვერის პარკი**

ყოფილი ვერის სასაფლაოს ტერიტორიაზე გაშენებული იქნა ახალი პარკი 6,5 ჰექტარის ფართობზე. ტფილისის მშრომელებ მა შეიძინეს კიდევ ერთი ახალი პარკი

ფოტო ბუდეშტსკის.

ꝏ ★ ꝏ

ა.-კავკასიის პირველი ოლიმპიადა გახსნილია.

ჩვენ წინ არიან არა მარტო მოთამაშენი, აკრობატები, მომღერალნი. ჩვენ წინ გამოდიან არა მარტო აღმასრულებლები.

რეფლექტორების თვალმომჭრელ სინათლეზე დიდაუდიტორიის წინ პირველად გამოვიდენ აქამდე შეუმჩნეველი ფიგურები, რომლებიც და ჩვეული არიან შეუმჩნეველ ყოფას. ესენი არიან ხალხურ სიმღერების დამგროვებელნი. ხელმძღვანელნი ნაციონალურ გუნდებისა.

ისინი გამოვიდენ მხოლოდ ერთი წუთით სახალხო ზეიმის თვალმომჭრელ სინათლეზე, რომ სამუდამოდ შექრილიყვენ ჩვენ მეხსიერებაში.

შელეგია, სიმონიშვილი, მანატლი... მრავალი არიან ისინი. ნავთიან ინდუსტრიალურ ბაქოდან, სამეგრელოს და გურიის მინდვრებიდან და სხვა ადგილებიდან მოსულა , ეს ხალხი. დიდი შემოქმედებითი მუშაობა ახასიათებს მათ,.

ეს ხელმძღვანელები წლიდან წლამდე (შელეგია კი ათეული წლები) აგროვებდენ ოქროს ნამცეცებს ძველ, დავიწყებას მიცემულ, სიმღერებისას, ინახავდენ მათ თავის საკვირველ მეხსიერებაში. გადასცემდენ ძველებურ სიმღერის მდიდარ რიტმს ახალგაზრდობას, რომელიც ამ საუცხოვო სიმღერის კილოზე აწყობს ახალ მძლავრ სიტყვებს კოლმეურნეობის სიმღერისას, ხან კი გადარქმნის ძველ ფორმას თავის დინამიკით, მაგრამ ინახავს იმ უძვირფასესს, რაც ქმნის ამ სიმღერას ხალხურად.

აგრეთვე დაუვიწყარია მოხუცების სახეები.

მაგ., შეუძლებელია დავიწყება 76 წლის **ახლან მიქელაძისა ხულოდან** (აჭარისტანი), ძველმა კოლმეურნემ საუცხოვოდ [illegible] **„...ში“** განსაკუთრებით [illegible] ქო მიწას ეფინებაო.

და აქვე გვერდით ხალხურ შემოქმედების ძველ სოლისტებთან — **ბავშვები.** ათი წლის ბავშვი მოცეკვავე ადერბეიჯანიდან, თორმეტი წლის სომხეთიდან, თურქი-გოგონები. ახალგაზრდობამ აავსო სცენა. წითელარმიელთა კოლექტივის დაუვიწყარი მომცინარი სახეები. (ხელმძღვანელობა **ხალხატიანისა**), რომელმაც თავი იჩინა მზისებრი მხურვალე ცეკვით. საუცხოვო ძალით და მდიდარი ფერადოვნებით ავსევსეა ხმა **შოგიძე, მკრტიჩიანისა, სომ**ხური ხალხურ სიმღერების ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებლისა.

ბიულ-ბიულის სიმღერას თან ახლავს წკრიალა ხმა თარისაა და ქამანჩის, რომელმაც შეიპყრო მთელი დარბაზი. ცნობილი მომღერალი შესცვალა პატარა ტანის უცნობმა ქალმა.

კოლმეურნე ქალია კუბის დაშორებულ რაიონიდან.

ის ისე მორცხვობს, რომ აჰხ. ახმეტელს უხდება მისი მოყვანა რამპასთან, მაგრამ სიმების პირველივე ხმა იპყრობს მას თავის გამოუთქმელ რიტმით. ქალი დაფრინავს როგორც ღამის პეპელა, მისი მახა·



ყინვარწვერი და ორწვერის ყინვარი კონუსის ძირში კლდეებთან მდებარეობს მეტეოროლოგიური სადგური,

კის ფერი ხელები. დაჩვეული შრომის მუშაობას თითქო დამფრთხალი ქანაობს ჰაერში და ცეკვა თავდება თეთრი შალის ტრიალით, რომელიც იშლება და აჩენს მომცინარ გაბედულ სახეს ახალ თურქის ქალისა.

როგორი სიცრუეთ, საცოდავ უაზრო სიცრუეთ კიდევ ერთხელ გვეჩვენება მტკიცება ბურჟუაზიულ „თეორეტიკების", რომ ვითომც სოციალიზმი სპობს ნაციონალურ ხელოვნებას, სახეს უკარგავს, მიწასთან ასწორებს მას!

აჰის საუკეთესო პასუხია ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადა, პასუხი, მრავალფერი ენიანი, მრავალ სიმიანი, მრავალ ფეროვანი პასუხი ათეულ ენებზე, შემოქმედებითი მოხსენება მილიონების.

## ლიუქსემბურგიდან ხევსურეთამდე

ქალაქის ქუჩების მტვერის და ხმაურობის შემდეგ მუშტაიდის ბაღი მოგაგონებთ ტყის სიგრილის და დუმილს.

მთვარის შუქი ვერცხლად ეფინება ტრამვაის მუშაკთა ბაღის ქვიშით მოფენილ რბილ ბილიკებს, ისეთი სიჩუმეა ვებერთელა ბაღში, რომ შადრევანის ბუტბუტი გეჩვენებათ ერთად - ერთი სიცოცხლის ნიშნად. ნამდვილად კი ასე არ არის.

უამრავი ხალხი — ტრამვაის მუშაკნი ოჯახობით, მუშა ახალგაზრდობა, ფიზკულტურელები, მუშფაკელები, ყოველ საღამოს რომ იკრიბებიან ამ ბაღში, —ეხლა მიმართულა ესტრადისაკენ. ახალგაზრდობა ასულა ბალიუსტრადზე.

მუშათა აუდიტორიის წინ რამპის შუქზე გამოდიან ბაქოს აგიტბრიგადა, ერევნის მოცეკვავეთა გუნდი.

ალერსით ხვდება მათ აუდიტორია და დიდი ინტერესით ისმენს.

აი, შავი ჩოხების და ... შალვარების შემდეგ, რომლებსაც თვალი უკვე შეეჩვია, სულ სხვანაირი გუნდი. ეს სრულებით არა გავს თავის ამხანაგებს. აბრეშუმის კაბები. ქერა ნაწნავები, ცისფერ თვალებიანი აწითლებული ლაწვები ქალთა შემკრთალი სახისა. მამაკაცები გახამებულ საყელოებში.

მინდვრის ყვავილების ლიდი თაიგული წითელი, მზისაგან დამწვარი მუშური მაგარი ხელები და კისერი გვაცნობენ, რომ ეს სტუმრები კომუნარები არიან.

გერმანელთა გუნდი ლიუქსემბურგის კოლმეურნეობიდან მოსულა ოლიმპიადაზე და ეჯიბრება სომხურ, მეგრულ და თურქულ გუნდებს.

ცოტა დაშორებით, მუშტაიდის ბაღის სიღრმეში ისმის ძველებური საკრავის თავისებური სევდიანი ხმა.

რკინისგზელთა კლუბის ესტრადის ნიჟარაში —ლურჯი ფიგურები ნელი რხევით მოძრაობენ. სიმების ხმებზე.

ხმლები. აწკარუნდენ მრგვალი ფარები. ახალგაზრდა ხევსური ძლიერი მოქნევით, პირველ ყოფილ ადამიანის სიმარჯვით და ძალოვნებით უკუაგდებს „მტრის" შეტევას. მაგრამ „მტერმა" მიამწყვდია ის ყურეში და მზად არის დაამარცხოს.

მაგრამ გამოვარდება ქალი, შეკრეჭილი ქერა თმით. ის აგდებს მანდილს მებრძოლთა შუა. ბრძოლა წყდება. „მტრები" აგებენ ხმლებს ქარქაშში. მომღერალი კვლავ განაგრძობს დაკვრას.

ის იღერის ხევსურეთის [illegible] სისხლიან წარსულზე, [illegible] ქვეყანაზე, რომელიც გადასრო[illegible] ლია ცის კიდურზე [illegible] რება ძნელია, [illegible] მთის მწვერვალზე გადასვლა.

სიმღერა აჩქარდება, ნათლდება, ხმა მაღლდება. იქცევა საცეკვაოდ. შევიდენ წრეში, ცეკვავენ გაულე[illegible]რი სახით. ფეხის მაგარი დარტყმით ზანზარებს ესტრადა. ძლიერი რიტმი გლეხური ცეკვისა, ცალ ფეხზე შეხტომით და ქალის ხელი[illegible] მონაწილეობით, და მძიმე ტრიალით აძლევენ[illegible] ძალას ამ პატარა ხალხისას.

აი, მეორე ათწლეულია, რაც ისინი

აი, მეორე ათწლეულია, რაც ისინი ჩამოდიან მთებიდან ვიწრო ბილიკებით, მიდიან ქალაქში სწავლისათვის. პირველად აშენებენ დიდი გზებს, საავადმყოფოებს და სკოლებს. მხოლოდ მათი ლურჯი ვერცხლით და მარგალიტით ნაქარგი ტანისამოსი, ხმლები და ფარები, ძველი დასაკრავები და სიმღერები მოგვაგონებენ უდიდეს მთის გადასავალს, რაც დაძლია ამ მამაცმა პატარა ხალხმა —გადასვლა საშუალო საუკუნოების ხანიდან — სოციალიზმში.



კულტმუშაობა თამბაქოს ალების დროს.

ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობ ის თამბაქოს პლანტაციებში დასვენების დროს კითხულობენ გაზეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასი

1921 წელს **ლენინი** თავის წერილებში აღნიშნავდა, რომ აუცილებელია შეიქმნას ახალი ტიპის რუქები, რომლებიც დაახასიათებენ ქვეყნის ისტორიას, დაასურათებენ გამოსახული ქვეყნების ეკონომიკის მარქსისტულ ანალიზს და სპეციალური რუქები, რომლებიც მოგვცემენ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ დახასიათებას.

ილიჩის მითითებების საფუძველზე დღეს უკვე იწყება დიადი საკითხების გადაწყვეტა, რომლებსაც „მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასი" ეწოდება. როხორც შენიშნავს ერთი ჩვენი ჟურნალისტი, ეს ატლასი იქნება თავისებური სასახლე გეოგრაფიაში, რომელიც დააგვირგვინებს თანამედროვე მარქსისტულ ცოდნას ჩვენი პლანეტების შესახებ. ეს სავსებით რეალურია, ვინაიდან ატლასის შედგენის მეთაურობას უწევენ საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო მეცნიერები: **შოკალსკი, ოოტო შმიდტი, სამოილოვიჩი, ვავილოვი, სემენოვ-ტიანშანსკი და სხვა.** კაპიტალისტურ ქვეყნებში წინად უკვე არა ერთხელ გამოუციათ მსოფლიოს გეოგრაფიული ატლასი. ასეთია, მაგ. ჟანსონიუსისა და ანდრეს ფრანგული ატლასები, ატლასი იტალიის ტურისტული კლუბისა, გერმანული - ვესტერმანისა და შტილერის, ხოლო ინგლისური — ტაიმსისა.

მაგრამ თავის თავად ცხადია, გეოგრაფიული რუქა, ისევე როგორც მთელი მეცნიერება, მთელი ხელოვნება და აზროვნება გაბატონებული კლასის ინტერესებს,— ემორჩილება და ჩვენ ეპოქაში — მილიტარიზმისა და კაპიტალისტური კრიზისის ხანაში ემსახურება იმპერიალისტურ მსოფლმხედველობას თითეული სახელმწიფო გეოგრაფიული რუქის შედგენის დროს ყველაფერს გარკვეული ტენდენციით უდგება; ამ ტენდენციას, რომელსაც ჰფარავენ „ნაციონალური ინტერესების" ქვეშ, სინამდვილეში სარჩულად მსხვილი კაპიტალისტები! მისწრაფებები აქვს, ამიტომაც გერმანული რუქა განსხვავდება ფრანგულისაგან, ინგლისური - იტალიურისაგან და სხვ.

საბჭოთა ატლასი თავის ერთ-ერთ მიზნად ისახავს წარმოადგინოს ჭეშმარიტი სურათი ჩვენი პლანეტისა მისი ისტორიის დღევანდელ ეტაპზე. ფიქტიური დამოუკიდებლობა, რომელიც ბურჟუაზიულ პრესაში და ბურჟუაზიულ რუკებზედ მინიჭებუ-



**ამხ. მოლოტოვი პიონერებთან სტუმრად.**

ამხ. მოლოტოვი ესტუმრა პიონერთა ბანაკს „არტეკს" ბანაკის ათი წლის არსებობის დღესასწაულის გამო. პიონერები დიდი სიყვარულით შეხვდენ ამხ. მოლოტოვს, აჩუქეს მას ალბომი და სხვ.

სურათზე: ამხ. მოლოტოვი ესალმება პიონერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აქვთ ზოგიერთ არა ევროპიულ სახელმწიფოებს (სიამი, ნეპალი, არაბეთი). საბჭოთა ატლასში შეიცვლება მითითებით იმ იმპერიალისტურ ვეშაპზე, რომელიც ფაქტიურად ჰფლობს, ან ძარცვავს ამ ქვეყნებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ისტორიული ხაზი აქაც მკაფიოდ იქნება გავლებული. რუკებმა უნდა დაასურათონ სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარება, რომლებსაც განიცდის ჩვენი ვრცელი ქვეყნის ყოველი კუთხე. ბელომორ-ბალტიის არხი, დნეპროჰესი, დონბასი, კუზნეცკი, მაგნიტოგორსკი, ხიბინების აპატიტი, კოლხეთის სუბტროპიკები, თურქმენისტანის კაუჩუკი, შორეულ ჩრდილოეთის ახლად გაკაფული გზები—რა მდიდარი მასალაა იმ რუკებისათვის, რომლებზეც მსოფლიო იხაზება არა უცვლელ და სტაბილურ რაღაცად, არამედ მარად მოძრავ და ცვალებად საგნად.

მუშაობა ატლასის შესადგენათ უკვე დაწყებულია და გაგრძელდება 3 წელს. იგი შეაჯამებს მთელი თანამედროვე გეოგრაფიულ ცოდნას და დაეხმარება არა მარტო გეოგრაფიის სწავლებას და თვითგანვითარებას, არამედ გახდება სერიოზულ სახელმძღვანელო ჩვენი სამეურნეო გეგმების შედგენისა და სოციალისტური მშენებლობის პროცესში.



კოლმეურნეობა მესამე ინტერნაციონალის საუკეთესო დამკვრელები ჩაის კრეფის საქმეში ამხ. ამხ. შოქრაძე, კოკოხია, კვარაცხელია და ცულია.

ꝏ ★ ꝏ

## მოსკოვის მეტროპოლიტენი

დედამიწის ზურგზედ არსებობს სულ 12 ქალაქი რომლებსაც შეუძლიან მეტროპოლიტენით დაიტრაბახონ. ეს ქალაქებია: ლონდონი პარიზი, ბერლინი, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბუდა-პეშტი, ბოსტონი, ბუენოსაირუსი, ჰამბურგი, ტოკიო და სხვ.

## მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყეს:

ლონდონში 1860 წ., ნიუ-იორკში 1872 წ., ბუდა-პეშტში 1895 წ., პარიზში 1898 წ. ბერლინში 1902 წ.

ბურჟუაზიული ეკონომისტების გამოანგარიშებით, მეტროპოლიტენის მოწყობა ხელსაყრელია ყოველ ქალაქში, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 1 მილიონს აღემატება.

მართლაც მეტროპოლიტენი ყოველთვის ამართლებდა თავის დანიშნულებას და მეტად დიდ შემოსავალსაც იძლეოდა. საქმიან დღეებში მეტროპოლიტენის ხაზებით მრავალი ადამიანი მოგზაურობს. მაგ. ბერლინში ორმაგი გზის თითეულ კილომეტრზე მოდის 2,5 მილიონი მგზავრი წლის განმავლობაში. ლონდონში—4 მილიონი, ნიუ-იორკში—6, პარიზში კი—7,8 მილიონი. მაგრამ კაპიტალიზმის მსოფლიო კრიზისს მეოხებით დიდ ქალაქთა უმრავლესობაში მეტროპოლიტენის მუშაობა თანდათან სუსტდება. ამის საუკეთესო მაგალითს ბერლინი წარმოადგენს. აქ მეტროპოლიტენი მხოლოდ ინერციით განაგრძობს არსებობს, მოძრაობა მასზედ თითქმის შეწყდა. იქ, სადაც რამდენი წლის წინად მოძრაობდენ ექვს ვაგონიანი მატარებლები, ამჟამად ორ-ორი ვაგონი დადის და ინტერვალი მიმდევნო მატარებლის შორის 2 წუთიდან 8-მდე გაიზარდა. ბერლინის მეტროპოლიტენის პარკს 2.000 ვაგონი აქვს, მაგრამ აქედან მხოლოდ 650 მუშაობს. შეუსუსტებლად მუშაობს მხოლოდ პარიზის მეტროპოლიტენი, სადაც სადგურზე ყოველ 1 ნახევარ წუთში ახალი მატარებელი მოდის.

მაგრამ პარიზის მეტროპოლიტენი ვერ არის უნაკლულოდ მოწყობილი: ვენტილიაცია ცუდია, განათება არ ვარგა, მიწისქვეშა გადასასვლელები უხერხულადაა მოწყობილი. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ პარიზში მეტროპოლიტენი აგებულია კერძო მოიჯარადრეების მიერ: მათ აინტერესებთ მხოლოდ მშენებლობის „სისწრაფე, და ხოლო მგზავრთა ინტერესებს რას დაეძებენ.

სისწრაფისა და მშენებლობის ხარისხის რეკორდი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქს—მოსკოვს. 1934 წ. 7 ნოემბრისათვის ე. ი. 1 ნახევარი წლის განმავლობაში მზადდება 11,5 კილომეტრიანი სიგრძის ხაზი, ხოლო მეორე ხუთწლედში განზრახულია 50 კილომეტრის გაყვანა.



გაალის საბჭოთა მეურნეობა „საქარ. ჩაი" სწარმოებს ჩაის პლანტაციების მოტოკულტივაციას.

მოსკოვის მეტროპოლიტენის პროექტი შედგენილია საბჭოთა ინჟინერების მიერ საზღვარგარეთული მეტროპოლიტენის ღრმა შესწავლის ნიადაგზედ. ჩვენ მექანიკურად არა ვბაძავთ დასავლეთის ტეხნიკას, არამედ ვსარგებლობთ მეტროპოლიტენის მშენებლობის კომბინირებული მეთოდით.

**ამხ. კაგანოვიჩის** მიერ **წამოყენებულია** ლოზუნგი: „ავაგოთ მსოფლიოში საუ-

კეთესო მეტროპოლიტენი". ეს **სიტყვები** მთელი მოსკოვის პროლეტარიატის ლოზუნგად იქცა. ამას ამტკიცებს ის ინტერესი და ენერგია, რომლითაც მეტროპოლიტენის შაბათობებში მონაწილეობს ყველა მშრომელი—მუშა, ოსტატი, მოსამსახურე და მეცნიერი. მოსკოვის მეტროპოლიტენს აშენებს მშრომელი ხალხი და არა მოგებით დაინტერესებული მოიჯარადრე, ამიტომაც პირველი საბჭოთა მეტროპოლიტენი საუკეთესო იქნება დედამიწის ზურგზედ.

### ჭრიჭინისებური თვითმფრინავი

ყველა მწერები, როგორიცაა მაგ, ჭრიჭინა, რომლებსაც ორი წყვილი ფრთა აქვთ, ჰაერში ფრენის დროს ფრინველებივით კი არ იქნევენ ფრთებს, არამედ ახდენენ სწრაფ რხევით მოძრაობას ანუ ვიბრაციას.

ფრენის ასეთი პრინციპი ავიაციაში პირველად პოულობს გამოყენებას ქ. ვენაში აშენებულ „ჭრიჭინა"—აეროპლანის სახით.

ეს თვითმფრინავი ააგო ცნობილმა მეცნიერმა, ავიოკონსტრუქტორმა და გამომგონებელმა, **რაიმონდ მიფგორმა.**

ნიმფგორის აეროპლანს პროპელერი არა აქვს. ფრთები გამაგრებულია განსაკუთრებულ, რეზინით მოფენილ ბუდეებში და შეიძლება ამოძრავებული იქნეს მცირედ მანძილზე წინ და უკან. ფრთები გაკეთებულია დურალუმინიუმისა და თხელი დიქტისაგან. ფრთაში მოთავსებულია კამერა, რომელშიც ხდება ჰაერის შედგენა და ამოქაჩვა. ფრენის დროს თვით ფრთა უძრავი რჩება, მხოლოდ მისი ქვემოთა გვერდი ჰაერის პულსაციით ირხევა (15 სანტიმეტრის ამპლიტუდით). ეს, შესახედავათ თითქოს სუსტი რხევა შესაძლებლობას აძლევს აეროპლანს პირდაპირ აფრინდეს ადგილიდან მანძილზე გაუქანებლად და ჰაერში გაჩერდეს.

პულსაციას განიცდის აგრეთვე „ჭრიჭინას" ?ოლ?ავი კუდიც. პლინირების დროს მუშაობს მხოლოდ მცირე მომსახურე ძრავი, ხოლო ეს მოტორი რომელიც ფრთებში და კუდში ჰაერსა სდენის, გაჩერებულია, რაც საწვავი მასალის უზარმაზარ ეკონომიას იძლევა.

აეროპლანის წინსვლით მოძრაობას ანიჭებს მეორე წყვილი ფრთა, რომელიც პროპელერის მაგივრობას ეწევა, მაგრამ თავისი ფორმითა და მოქმედების პრინციპით არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ხრახნილიანი პროლენისაგან.

მეტად საყურადღებოა ნიმფგორის გამოგონებაში შეკუმშული ჰაერის მიღების ხერხი: თვითმფრინავის დურალუმინისა და ქრომიან რკინის ტანში—წინა და გვერდებზე არის შემწოვი ნახვრეტები; აქედან ჰაერი, რომელიც მოძრაობის დროს საშინელი სისწრაფით მოშუის, თავისთავად შედის საქაჩებში. ეს გარემოება აადვილებს მოძრაობას და ჰაერის წინააღმდეგობას მეტად ამცირებს.

თვითმფრინავი აღჭურვილია 6 ბორბლით, რის გამოც დაჯდომის დროს შესძლებს ადვილად მიბრუნ-მობრუნებას. მთელი მანქანა თავისი მოწყობილობასთან და მფრინავთან ერთად აიწონის ერთ ტონას (61 ფუთს). „ჭრიჭინა" — ამოძრავებს 10 ცხენის ძალიანი მოტორის. აღსანიშნავია, რომ ფრენის დროს „ჭრიჭინა" 10-ჯერ უფრო ნაკლებ ენერგიას დახარჯავს, ვიდრე ჩვეულებრივი თანამედროვე აეროპლანი.

იმ შემთხვევაში, თუ მექანიკურმა „ჭრიჭინამ" დაიჭირა პრაქტიკული გამოყენება, იგი გადატრიალებას მოახდენს ავიაციაში, ვინაიდან ის იძლევა [illegible] რენტაბელურ კონსტრუქციის ტიპს.



**ალაზნის მარცვლეულობის საბჭოთა მეურნეობა.** სურათზე: ხწარმოებს ავტომანქანების განტვირთვა პურის მარცვლეულობისაგან.

★ ★ ★



**ალაზნის მარცვლეულობის საბჭოთა მეურნეობა.** ალაზნის მეურნეობა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მარცვლეულობისა კრეფის საქმეში. მოსავლის ასაღებად ამუშავებულია 40 კომბაინი, გაჩაღებულია მომუშავეთა შორის სოცშეჯიბრება.

**სურათზე:** ამხ. ნიკოლენკო (მე-31 კომბაინერის ბრიგადირი) ამხ. კანდელაკი, (შემკეთებელი ბრიგადის ბრიგადირი) ამხ. კვილიკიძე **და** ამხ. მუსოიანი ამუშავებენ მუშაობის გეგმას.

ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „კომუნისტი", [illegible] ქ. 68

მთავლიტის რწმუნებული ხ—270